სილოვან ხუნდაძე

ნიკოლოზ გარათაშვილი

საკითხავი წიგნი

ქართული ლიტერატურის შესასწავლათ

94176

მეორე გამოცემა

—შევსებული

ფასი 1.50 მ.

წიგნსაცავი

ქუთაისი
ადგილობრივი მეურნეობის სტამბა
1925.

ნებადართულია მთავსამლიტგამის მიერ № 530.

ტირაჟი 2000.

I. ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების მიმოხილვა

(1816 წლ. 22 ნოემბ.—1845 წლ. 2 ოკტ.).

ნიკოლოზ ბარათაშვილი პოეტის გრიგოლ ორბელიანის დისწული იყო. დედა-მისი, ეფემია, შესანიშნავი ადამიანი ყოფილა, რასაც მოწმობს მგოსან-ძმისაგან მისდამი მიძღვნილი ლექსი, „ჩემს დას ეფემიას", სადაც მას პოეტი აღტაცებული გრძნობით გვიხატავს.

ნიკოლოზის მამაც, თავადი მელიტონი, იმ დროის ქართველობაში გამოჩენილი პიროვნება ყოფილა—და თავად-აზნაურობას იგი თფილისის მაზრის მარშლათ აურჩევია.

ამ სახით, ნიკოლოზს, ანუ ტატოს, როგორც მას უნაწილობაში ეძახოდენ ხოლმე, ნიჭი შთამომავლობით მოსდევდა—და თვითონაც ბუნებრივათ განსაკუთრებული ნიჭიერებით იყო დაჯილდოებული.

ტატო პირველათ თფილისში ქალოუბნის სამრევლო შკოლაში შეიყვანეს, სადაც ოთხ წელს სწავლობდა.

> საგულისხმოა ის რეჟიმი, რომელიც იმ დროს ქალოუბნის შკოლაში ჩვეულებით დაწესებული ყოფილა. ზაფხულობით სწავლა გარეთ წარმოობდა, შკოლის ეზოში; მასწავლებელნი არც პურსა და არც წყალს არ ყიდულობდენ: პურს მოსწავლეთაგან ინაწილებდენ ხოლმე, რომელიც მათ თავისთვის საუზმეთ შკოლაში მიქონდათ, ხოლო წყალს—იმავე მოსწავლეებს აზიდვინებდენ.

1827 წლიდან ტატო ქალოუბნის შკოლიდან „ქეთილშობილთა სასწავლებელში“ გადაიყვანეს, რომელიც სამ წელს შემდეგ გიმნაზიათ გადაკეთდა (თფილისის პირველი გიმნაზია), და სასწავლებლის პანსიონში მიაბარეს.

გიმნაზიის კურსი ტატომ 1835 წელს შეასრულა. უმაწვილი კარგათ სწავლობდა, მაგრამ ძლიერ ცელქი იყო— და ამ სიცელქემ დიდი უსიამოვნობა მიაყენა: ერთხელ (1832 წ.) მაღალი კიბიდან ძირს ჩამოვარდა და ორივე ფეხი ისე დაიშავა, რომ სამუდამოთ კოჭლი დარჩა.

თუმცა ნ. ბარათაშვილი თავის ნაწერებში მეტათ ნაღვლიანი და მწუხარე სულის მქონეა, მაგრამ მოწაფობის დროსაც, თავის ოჯახშიც და საზოგადოებაშიც ხშირათ მხიარულათ ატარებდა ხოლმე დროს, თარისა და ჩანგურის დაკვრა კარგათ იცოდა, აგრეთვე სიმღერაც და ცეკვაც, განსაკუთრებით ლეკურისა—და მსმენელთა და მაყურებელთ დიდ სიამოვნებას გვრიდა.

რუსის პოეტის ლერმონტოვის არ იყოს, ნ. ბარათაშვილმაც გესლიანი ოხუნჯობა იცოდა—და ბევრს ამით აბრაზებდა. მელიტონის ოჯახში ხშირათ იკრიბებოდენ ქართველი ინტელიგენტები, შემდეგში გამოჩენილი პირები, მაგალითად—ალექსანდრე ჭავჭავაძე, პლატონ იოსელიანი და სხვანი. ნიკოლოზი ამათ წრეში ერთობოდა, თანაც ვითარდებოდა და იწრთვნებოდა, ზოგიერთს მათგანს მწარე ოხუნჯობით თავს აბეზრებდა, განსაკუთრებით

პლატონ იოსელიანს, ამ „ღვთისმეტყველსა“ და „ფილოსოფოსს“, რომელიც თავისი ახირებული ხასიათით იყო ცნობილი.

ერთხელ კრებაში ვირზე ჩამოვარდა ლაპარაკი—და ნიკოლოზმა პლატონ იოსელიანზე რუსულათ იოხუნჯა: ეს ამბავი ყველაზედ უკეთ პლატონს ეცოდინება, ვინაიდან იგი „ბოღოსლოვ“-იაო (богослов—ღვთისმეტყველი, აქ კი საოხუნჯოთ бог ослов).

ამ დამცინავი ხასიათისა და ჩვეულების გამო მგოსანს ცხოვრებაში ბევრი უსიამოვნობა შეხვედრია. ნიკოლოზი და მისი მეგობარი—ვინმე მაღალაშვილი—ხშირათ ილია ორბელიანს (ნიკოლოზის ბიძას) დასცინოდენ ხოლმე. ორბელიანმა დიდხანს ითმინა—და ბოლოს გადასწყვიტა, პირველი შემთხვევისათანავე, ჯიბრი მაღალაშვილზე ამოეყარა. ცხელ გულზე ორბელიანს მაღალაშვილის მაგიერ, რომელიც იმ საღამოს კრებაში არ მოსულა, დისწული ნიკოლოზი შერჩა ხელში, და როცა ამან ჩვეულებრივათ დასცინა, ორბელიანმა ივი დისწულობით არ დაზოგა და დუელში გამოიწვია. მეგობრებმა მათი შერიგება ვერ მოახერხეს—და დუელი დაინიშნა. სეკუნდანტები შეთანხმდენ, რომ ეს არასერიოზული გარემოებით გამოწვეული დუელი უვნებლათ ჩატარებულიყო—და დამბაჩები უტყვიოთ დასტენეს. როგორცა ჩანს, ნ. ბარათაშვილს ეგ საიდუმლოება განდობილი ქონია და დარიგებულიც ყოფილა, თუ როგორ მოქცეულიყო. როცა ორბელიანმა, სეკუნდანტების ჩვეულებრივი ნიშნებისამებრ, თავისი დამბაჩა გაისროლა, ნიკოლოზი უცებ მიწაზე გაიშხლართა. პოეტის ბიძა-დუელისტი თუმცა დუელს დაჟინებით მოითხოვდა, მაგრამ დისწული სასიკვდილოთ გაწირული არ ყოფილა—და, მოულოდნელი შემთხვევით თავზარდაცემული,

მიწაზე გაშხლართულ დისწულს მივარდა და შინჯვა დაუწყო. ნიკოლოზმა ოხუნჯური კილოთი მიაძახა: „ჯიბეში ქიშმიში მაქვს და არ ამომაცალოო!..“

აქ უნდა მოვიხსენიოთ ერთი შემთხვევა, რომლის გამოც ჩვენი პოეტი გიმნაზიიდან კინეღამ გამორიცხეს. ქართველმა მოსწავლეებმა ქართული კონცერტი გამართეს—და სომხებმა ეს კონცერტი სასაცილოთ აიგდეს. ნიკოლოზმა სომხებზე სატირული—მწარეთ დამცინავი ლექსი დასწერა. ეს ლექსი მისმა ამხანაგებმა „ფოშტალიონს“ ჩუმათ წიგნში ჩაუდვეს, ნუმერი გაუკეთეს და თავადაზნაურთა წინამძღოლისათვის გამოაწყვეს. წინამძღოლმა ეგ საქმე გამოამჟღავნა,—გამოძიება მოახდინეს—და როცა დამნაშავეები აღმოაჩინეს, ისინი დასასჯელათ მშობლებს გადასცეს. ნიკოლოზის მამა სასტიკი კაცი იყო—და სასტიკათაც „გაროზგა“ შვილი.

ნიკოლოზის მამის სახლში თავს იყრიდენ აგრეთვე პოლონელი პროფესორები, რომელნიც, პოლონეთის აჯანყების გამო, დასჯილი იყვენ და თფილისში ცხოვრობდენ. ამათთან დაახლოებული იყო ქართული ენის მასწავლებელი და გრამატიკოსი სოლომონ დოდაშვილი—და მელიტონის ოჯახიც ამ პროფესორებს დოდაშვილის საშვალებით გაეცნო. ახალგაზდა ნიჭიერი ნიკოლოზის გრძნობასა და გონებაზე სამშობლოს სიყვარულით აღვსებული პროფესორები, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მოახდენდენ—და ამათ წრეში დაიწყო გაფურჩვნა ნიკოლოზის გონებამ და პატრიოტულმა გრძნობამ.

იმ დროს, როცა რუსეთის მთავრობის საწინააღმდეგოთ თფილისში ფარული წრე დაარსდა, ნიკოლოზი ერ-

თობ ახალგაზდა იყო იმისათვის, რომ ამ წრეში სერიოზული მონაწილეობა მიეღო; მაგრამ, სოლომონ დოდაშვილთან დაახლოებული, იგი ამ წრეს შორი-ახლო მაინც იცნობდა და მის გავლენას განიცდიდა. დოდაშვილს სტამბა და თავისი გაზეთის რედაქცია ბოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთველის პროსპ.) ქონდა მოთავსებული*)—და ფარული წრის წევრები ხან აქ იკრიბებოდენ და ხან დოდაშვილის საცხოვრებელ ბინაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილს ხშირათ ქონდა ხოლმე შემთხვევა ამ წრეში ყოფნისა—და მისი გავლენით პატრიოტულ ჰანგებს თხზავდა. როცა დოდაშვილი და მისი ამხანაგები დააპატიმრეს, ნ. ბარათაშვილიც გაჩხრიკეს, როგორც დოდაშვილის დაახლოებული პირი, მაგრამ ვერაფერი უნახეს, რადგან წინდაწინ გაფრთხილებული იყო—და, რაც მთავრობის საწინააღმდეგო რამე გააჩნდა, ყველაფერი ცეცხლში დასწვა. ორ კვირას მაინც დაპატიმრებული იყო—და შემდეგ გაათავისუფლეს.

სანამ ტატო გიმნაზიის კურსს შეასრულებდა, მამამისმა, რომელიც, მაშინდელი დროის მიხედვით, ნადიმებითა და ბალ-სალამოებით იყო გატაცებული, საკმაოთ დიდი თავისი მამული გაფლანგა—და დაღარიბდა.

*) დოდაშვილის გაზეთი იყო ,,ტფილისის უწყებანი'': იგი 1830 წ. დაარსდა, კვირაში ერთხელ გამოდიოდა და წლიურათ რვა მანეთად ღირდა; გაზეთს ორ კვირაში ერთხელ სალიტერატურო დამატებაც ახლდა.

გიმნაზიის კურსშესრულებული, გონებრივათ განვითარებული ყმაწვილი უკეთესი მდგომარეობისა და უმაღლესი განათლებისაკენ ბუნებრივათ მიილტოდა: მას ეწადა-ან სამხედრო სამსახურში შესულიყო, ან უნივერსიტეტში; მაგრამ მამა, რაკი ნივთიერი შეძლება ხელს არ უწყობდა, ტატოს წადილს ვითომდა საპატიო მიზეზებით აქარწყლებდა: სამხედრო სამსახურში შესვლის შესახებ პასუხათ ეუბნებოდა, რომ კოჭლი ხარ და არ მიგიღებენ და არც გამოდგებიო, და, როცა უნივერსიტეტში გაგზავნა ითხოვა, იმ ხანებში მამა-მისი მძიმე ავათ შეიქნა—და შვილს შესტირა: „შვილო, ხომ ხედავ, მომაკვდავი ვარ—და ჩემს შემდეგ ჩვენს ოჯახს შენს მეტი პატრონი ვინა ყავს, რომ შორდებიო?!..

ამგვარათ, ნიკოლოზმა სწავლა ველარ განაგრძო—და, ოჯახის ნივთიერი მდგომარეობით, იძულებული შეიქნა სამსახურში შესულიყო.

პირველათ მას თფილისში „სტოლნაჩალნიკობა“ მისცეს იმ დაწესებულებაში, რომელსაც სახელათ „ქართველთა უმაღლესი მთავრობის სასამართლოსი და სამსჯავროს ექსპედიცია“ ეწოდებოდა (Экспедиція суда и расправы Грузинскаго высшаго правительства).

ნ. ბარათაშვილი სამსახურში თავდარიგიანი იყო: 1842 წ. სამხედრო მინისტრმა, რევიზიის დროს, ნ. ბარათაშვილს, საქმის უნაკლულო წარმოებისათვის, დიდი ქება შეასხა.—თფილისის პალატის უფროსი ბარათაშვილის დროსტარებასა და ქეიფობას შორიდან უკმაყოფილოთ და ეჭვის თვალით

უყურებდა, სამსახურში დაუდევრობას ეწამებოდა; მაგრამ, როცა ახლოს მის საქმისწარმოებას გაეცნო, თურმე კმაყოფილებით უთხრა: „რაკი სამსახურში ბეჯითი ყოფილხართ, მაშ იხტუნეთ და ისეირნეთ, რამდენიც ვენებოსთო!..“

1844 წელს ნიკოლოზი ნახჭევანის მაზრის უფროსის თანაშემწეთ დაინიშნა და შემდეგ წელს იმავე თანამდებობაზე ბანჯას გადაიყვანეს. (ნახჭევანს შემდეგ ნიკოლოზი თელავს იყო გაწესებული, მაგრამ მამუკა ორბელიანმა, რომელიც ბანჯაში იყო მაზრის უფროსათ, ნიკო თავისთან წაიყვანა თანაშემწეთ).—ბანჯაში მალე ჭაობის ცეება შეეყარა—და 29 წლის მგოსანმა, 1845 წლის 2 ოკტომბერს*), სული განუტევა. დაასაფლავეს იგი ბანჯის მართლმადიდებელთა ეკლესიაში, და იქიდან 1893 წლის 23 აპრილს თფილისს გადმოასვენეს და დიდუბის ეკლესიის გალავანში დიდის ამბით დაასაფლავეს. 1905 წელს ქართველობამ მის საფლავზე ძეგლი ააგო, რომელზედაც მგოსნის ლექსებიდან წარწერილია რამდენიმე შესანიშნავი ადგილი.

— —

ხანმოკლე იყო ნ. ბარათაშვილის ცხოვრება—და ამიტომ მთელი მისი თხზულება შეიცავს პატარა წიგნაკს, რომელიც ერთი პოემისა და რამდენიმე წვრილი ლექსი-

*) ნ. ბარათაშვილის ნაწერების სხვადასხვა გამოცემაში პოეტის გარდაცვალების დღე სხვადასხვანაირათ არის ნაჩვენები: ზოგი 8 ოკტომბერს უჩვენებს, ზოგი 9-ს და ზოგი 11-ს: ხოლო ბანჯის საფლავის ფიცარზე 2 ოკტომბერია ნაჩვენები.

საგან შესდგება; მაგრამ მისი ნაწერები იმდენათ ძლიერის პოეტური ცეცხლით, იმგვარი გენიოსობით არის აღბეჭდილი, რომ შოთა რუსთველს შემდეგ პოეტური შემოქმედებით, ნიჭიერების ძლიერებით პირველი ადგილი ქართულ პოეზიაში სამართლიანათ მას აქვს მინიჭებული.

ამ გენიოსი მგოსნის სიცოცხლემ ისე ჩაიქროლა, რომ რიგიანათ არც კი დაგვრჩენია ცნობები მისი ცხოვრების შესახებ; არ ვიცით დაწვრილებით მისი სიყმაწვილის ყოფა-ცხოვრების ამბავი, არ ვიცით-სამსახურის დროს ვისთან და როგორ ატარებდა პოეტი ცხოვრებას, არ ვიცით სინამდვილით მისი სახის გამომხატველი სურათი*)—არ ვიცით ამდენი სხვილი მხარე მისი პიროვნებისა. როცა საზოგადოთ საყვარელი მგოსნის ცხოვრების ყოველი წვრილმანი გარემოებაც მეტათ საგულისხმო, მეტათ ძვირფასია შთამომავლობისათვის.

ეს კი ვიცით გარდმოცემით, რომ თანამედროვე ქართველობა ყურადღების ღირსათაც არა სთვლიდა ამ გენიოს მგოსანს, მის მოშაირობას თითქო კიდევაც დასცინოდა.

*) ნიკოლოზის ნამდვილი სახის ნახატი (პორტრეთი) არ დავრჩენია. გიორგი თუმანიშვილს, პოეტის მეგობრის მიხეილის შვილს, მამის ქაღალდებში ხელით ნახატი ორი პორტრეთი ამოუჩენია. ერთს მათგანს ქვეშ რუსულათ Н. Б. აწერია. მისი აზრით, Н. Б. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელ-გვარის ინიციალებია და ეს პორტრეთი მისი სახის ნამდვილი გამოხატულება უნდა იყოს. რადგან მამა-მისს საკმაოთ კარგი ხატვა სცოდნია.

Უნდა ითქვას, რომ ბარათაშვილს თანამედროვე საზოგადოებაშიც ყოლია თითო-ოროლა გულშემატკივარი და თანყვანისმცემელი მისი უტყუარი ნიჭისა და ადამიანური ღირსებებისა, თუმცა ეს გულწრფელი მათი დაფასება და თანაგრძნობა მხოლოდ პოეტის სიკვდილს შემდეგ გამოცხადდა („სიკვდილს შემდეგ სინანული"!). აი, მაგალითად, რას ამბობს მაშინდელი საზოგადოების ცნობილი წევრი ლევან მელიქიშვილი ბარათაშვილის სიკვდილის გამო (რუსულად): „არა მარტო მე განვიცადე ეს საშინელი დანაკლისი:—საქართველომ დაკარგა იმაში კაცი, რომელსაც იგი სრული თვისი პოეტური სულით უყვარდა, რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავის მოვალეობაზედ უფრო მაღლა აყენებდა,—დაკარგა ახალგაზდა კაცი, მშვენიერი—ბრწყინვალე ნიჭის მქონი, რომლისგანაც იგი, დღევანდელ სხვა ახალგაზდა თავის შვილებს შორის, ყველაზე მეტს მოელოდა"...

მხოლოდ მისი საკუთარი მიწერ-მოწერა, განსაკუთრებით მგოსან-ძიასთან, გრიგოლ ორბელიანთან, მინაწერი წერილები გვიშლის თვალწინ პოეტის სულის-კვეთებას, მის ნატვრა-სურვილებს, მისი სულის მოძრაობას. „ძია გრიგოლს" ხშირათ უგზავნიდა ხოლმე გენიოსი დისწული თავის ახალ ლექსებს და თან შეკითხვის კილოთი სწერდა; „არ ვიცი—ეს ლექსი როგორ მოგეწონებათ". არც ჩვენ ვიცით, ამ მხრით მაინც რა ყურადღებას აქცევდა და ახალგაზდა მგოსნის თვალსაჩინო ნიჭს როგორ ამხნევებდა უკვე გამოცთილებით სავსე ბიძა: ხოლო ეს კი ვიცით, რომ ნივთიერათ შეძლებულ „ძიას" ფიქრათაც არ მოსვლია-ნიჭიერი დისწულის წყურვილი სწავლა-ვა-

ნათლების გაგრძობის სფეროში დაეკმაყოფილებია და მისი წარჩინებული ნიჭის განვითარებისა და გაფურჩვნისათვის ხელი შეეწყო.

ხამსახურში დიდათ დაწინაურებულისა და მთავრობის სფეროებში გავლენიან ბიძას, როგორცა ჩანს, იმაზედაც არ ეჭვიანვია, რომ სილარიბეში მყოფი დისწული-მგოსანი ხამსახურში მაინც დაეწინაურებია. ნიკოლოზი გულნატკენი ყოფილა ბიძის მხრით მისდამი უყურადღებობისა გამო, რაიცა ჩანს ერთი მისი წერილის შემდეგი სტრიქონებიდან (როცა ბრ. ორბელიანი ავარიის მთავრათ იყო დანიშნული):

„ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავისთავს ვბერდებიო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მიჰსცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შეძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო!.. მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად ვარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!.. ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომ რეენკამფთან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით ჭაბველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის!.. ვიცი—დავავიწყდა...

მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბოლია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგებაო...

ცხოვრების პირობები ნ. ბარათაშვილს არც პოეტური ზეშთაგონებისა და შემოქმედების ფრთების გასაშლელათ უწყობდა ხელს: მამის ოჯახში შესაფერი ატმოსფერა და განწყობილება მას არ ქონია—და ამიტომ ლექსების საწერათ იგი სახლ-გარეთ მიილტოდა, თავისუფალ ბუნებაში—მტკვრის პირათ, ვერის-წყლის პირათ, მთაწმინდაში, ბარეთუბანში და სხვ. ყოველ ბუნება და ქალთა სილამაზე ხიბლავდენ პოეტს და აღძრავდენ ბოლნელ მის აღმაფრენას, და—საკუთარ ოჯახსა და საზოგადოებაში სულით შემუსვრილი—მგოსანი ბუნებას ესაუბრებოდა. ბუნების წიაღში გამოსთქვამდა თავის გრძნობებს, თავის სულის-კვეთებას.

მიუხედავათ თანამედროვე ცხოვრების შეუფერებელი პირობებისა, ნიკოლოზ ბარათაშვილის გრძნობასა და გონებას მაინც საკმაოთ უმუშავია—და დღემოკლე მგოსანს, ქართველი ერის სასიქადულოთა და სასახელოთ, დაუტოვებია პაწია კრებული გენიოსობით აღბეჭდილი ლექსებისა.

ლექსებს გარდა შთამომავლობას დარჩა რამდენიმე წერილი, ნათესავ-მეგობრებთან მინაწერი, სადაც ცხადათ გამოსჭვივის პოეტის წმინდა გრძნობა, სალი გონება და იგივე პოეტური ცეცხლი, რომელიც უხვათ არის ჩაჩაღებული მის ლექსებში.

ამ ნაწერებს გარდა პოეტს კიდევ დაწერილი ქონია ისტორიული პოემა „ივერიელნი“, რომლის შინაარსიც საქართველოს მე-11-ისა და მე-12 საუკუნეების ცხოვრებას შეეხებოდა; აგრეთვე უთარგმნია ლეიზევიცის ტრაგედია „იული ტარენტელი“, რასაც თვითონვე იხსენიებს ერეკლე ბრიგოლთან მინაწერ ბარათში.—მაგრამ არც ერთს ამ უკანასკნელ ნაწარმოებს ჩვენამდი არ მოუწევია.

ისტორიული დაკარგული პოემა „ივერიელნი“ და ჩვენამდი მოსულნი „ბედი ქართლისა“, როგორცა ჩანს, შედეგი ყოფილა იმ საუბრებისა და განზრახვებისა, რომელიც ნიკოლოზის დროს ქართველთა ვიწრო წრეში, ოვით ჩვენი მგოსნის მონაწილეობით, ხშირათ ხდებოდა ხოლმე. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ პოეტის თანამედროვე—ქართველ საზოგადოებაში კარგათ ცნობილი—კოსტანტინე მამაცაშვილი:

„ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზდა ამხანაგები—ხან ნ. ბარათაშვილთან, ხან ლევან ივანეს ძეს მელიქიშვილთან, ხან სადილად ბარეთუბნის ბაღებში... ხშირად გვქონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე. ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავსწყვიტეთ, რომ, რადგან არ გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მე-V საუკუნიდან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია ამ საუკუნისა. პლატონ იოსელიანს მიანდვეს დაწერა ძველის საუკუნის ისტორიისა, ქრისტეს წინად და შემდეგ მე-V საუკუნემდის“.

Იგივე მამაცაშვილი განაგრძობს:

„მ ხსოვს—ერთს ივლი-ის ღამეს 1838 წელს მე და ტატო წავედით სასეირნოთ ბარეთუბანს. ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენიერად ხუმრობდა. მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულ ცხოვრებაზეც და ტრაგიულს დასასრულზედ მე-18 საუკუნისა, მეფის ირაკლის მეხუცებულობისა გამო უღონობაზედ, ჩვენის ტფილისის წახდენაზე 1795 წ. 14 სეკტემბერს, და სხვ.—ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს, სახე გამოეცვალა. დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა: „ჩვენმა უხეიროობამ დაგვღუპა!“—და ოხვრით დაუმატა: „ვაი ჩვენო ქართლის ბედო!..“

ნ. ბარათაშვილი მონაწილეობას იღებდა გიმნაზიის ხელნაწერ რუსულ ჟურნალში „Цвѣтокъ“-ში, რომელიც 1833 წელს მისი კლასის ამხანაგისა და მეგობრის მიხეილ თუმანიშვილის თაოსნობითა და რედაქტორობით გამოდიოდა. როგორც ნიკოლოზის რუსული წერილებიდან ჩანს, ჩვენს პოეტს რუსული სალიტერატურო ენა და სტილი კარგათ შეთვისებული ქონია.

II. ნიკოლოზ ბარათაშვილის პესიმიზმი.

ნ. ბარათაშვილის ლექსები სევდიან კილოზეა მომართული, ნაღვლიანი ცრემლებით არის დანამული:—ბარათაშვილი **პესიმისტი** მგოსანია.

პესიმისტი ლათინური სიტყვით (pessimus—უუცუდესი) იმისთანა ადამიანს ეწოდება, რომელიც ცხოვრება-

ზე ფრიად ცუდი აზრისაა: არ მოსწონს არსებული წესრიგი და პირობები, აძაგებს მათ და ხშირათ სრულიადაც უიმედოა, რომ კაცობრიობა ოდესმე ბედნიერ ცხოვრებას ეღირსოს, ან იმედსა და ნუგეშს მხოლოდ შორეულ მომავალში მოელის.

პესიმისტური მიდრეკილება, ნაღვლიანი, სევდიანი სული მგოსნებს დაბადებითვე დაყვებათ ხოლმე, მაგრამ თითოეული მათგანის სევდიანობის გამოხატულება და ხარისხოვნება მახლობელით, გარშემორტყმული პირობებით მუშავდება და სახიერდება.

ბარათაშვილის სულის ნაღვლიანობა სხვადასხვა გარემოებამ გააღვივა და გააძლიერა. **ჯ**ერ ერთი—პოეტის საკუთარი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ სანუგეშოს არაფერს წარმოადგენდა (მოიგონეთ, რაც ზევით არის ნათქვამი); მეორე—საყვარელი სამშობლოს წარსულზე ფიქრი სულსა და გულს უშხამავდა; განსაკუთრებით კი თანამედროვე ქართველი საზოგადოების სიცარიელე, ფუჭსავატობა და არარაობა იყო პოეტის სულის მომწამლველი.

ნიკოლოზის დროს **თ**ფილისში—ისე, როგორც საზოგადოთ მთელ **ს**აქართველოში—არც გაზეთი არსებობდა, არც თეატრი და არც სხვა რამ იმისთანა დაწესებულება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ქართველის გონებასა და ზნეობას შესაფერი საზდო ქონოდა, და ამიტომ საზოგადოებრივი აზროვნება და შეგნება ძალიან დაბლა იდგენ.

Кут. Гос. Библ.

ქართველი ინტელიგენცია და საერთოდ მოწინავე საზოგადოება კერძო ოჯახებში იკრიბებოდენ და ერთობოდენ. ამ მხრით თფილისში განსაკუთრებით ორბელიანის ნეულლე მანანა გახდა მიმზიდველ პიროვნებათ, რომლის ოჯახიც იმ დროს ევროპიულ სალონს წარმოადგენდა, სადაც განსაკუთრებით მწერალნი და ხელოვანნი იყრიდენ თავს. ხშირათ იკრიბებოდენ აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახშიც.

მაგრამ ამ კერძო სალამოების გონიერათ მომწყობი და ხელმძღვანელი არავინ იყო—და აქ უფრო ხშირათ ფუქსავატი დროსტარება იყო ხოლმე: ქეიფობა, ბანქოს თამაში, ჭორიკან-მიეთმოეთობა და სხვ.

ნიკოლოზი მუდმივი მონაწილე იყო ამ სალამოებისა და ყველასათვის სანატრელიც, ვინაიდან მასში მრავალი თვისება იყო მხიარული სალამოების პირობებისა: კარგი მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ოხუნჯობა იცოდა, ხან ლექსებით ართობდა ხოლმე საზოგადოებას, ხან სიმღერით, ჩანგურით, თარით და საუცხოო ლეკურით...

მაგრამ ზოგჯერ ისეთი მომაბეზრებელი დაცინვა იცოდა და ისეთ ჭორებს შეთხზავდა ხოლმე (მეტადრე ქალებზე), რომ ყოფილა შემთხვევები—პოეტი ოჯახში არ მიუღიათ. საერთოდ კი ნიკოლოზი მაინც ყველასათვის საყვარელი ყოფილა, იმათთვისაც, ვისაც იგი დასცინოდა:—მაგალ., პლატონ იოსელიანს არაერთხელ უთქვამს: ბატონ ბოლოს კარგი გამოვაო...

შეუძლებელია კარგი გავლენა ქონდა ჩვენი პოეტის ბუნების აღზდაზე ზევით აწერილს თფილისის საზოგადოების ფუქსავატობას, რაზედაც პოეტი ბიძასთან (ბრიგოლთან) მინაწერს ერთ წერილში თვითონვე ამბობს: „ტფილისი ისევ ის ქალაქია—უსარგებლო გონებისა და გულისათვის“-ო. ხოლო, თქმა არ უნდა, გენიოსი-პოეტის ნიჭი მაინც არ დაიკარგებოდა, მით უფრო, რომ მას კარგათ ესმოდა სიდუხჭირე თანამედროვე საზოგადოებისა.

თანამედროვე საზოგადოებაზე თავის შეხედულებას ბარათაშვილი გვიხატავს შესანიშნავ წერილში, რომელიც 1842 წლის 22 ოკტომბერს მას თავისი სულის მეგობრის—ორბელიანის ქალის მაიკოსათვის მიუწერია:

„ჯიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ.—აღარ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი—და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამდა ზეკარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი“?!..

ამ წერილის შინაარსის დედააზრი, **სულიერი ობლობა,** პოეტმა სამი წლით წინათ გამოსთქვა პაწია ლექსში, რომელსაც „**სული ობოლი**“ ეწოდება. მგოსანი აქ ორგვარ ობლობას გვიხატავს, **ხორციელსა და სულიერს**, და ამბობს, რომ ხორციელი ობლობა თავისი სიმწვავით არაფრათ ჩავარდება სულიერ ობლობასთანო, (ნახეთ „**დაპატება**“-ში ლექსი „**სული ობოლი**“).

საზოგადოთ ცხოვრებაში პოეტი ამაოებას ხედავს— და **წუთისოფლის ამაოების** შესახებ მისი აზრი გამოთქმულია ლექსში, რომელსაც სათაურათ აქვს „**ფიქრნი მტკვრის პირას**“. მგოსანს აქ ადამიანის გულის გაუმაძღრობა აქვს გამოხატული—და ამიტომ ამბობს:

„**მ**აინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი,
თუ არაოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს—
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“-ო.

ბარათაშვილი ამ ლექსში ორ მეფეს ახასიათებს, **ბოროტსა** და **კეთილს**. **ბოროტი მეფე** სულ იმის ზრუნვაშია, რომ სხვებს წაართვას და თვით შეიძინოს, **კეთილი მეფე** კი—რომ ამ ქვეყნათ კეთილი სახელი დასტოვოს; ერთი ბოროტებით არის გაუმაძღარი, ხოლო მეორე—სიკეთით. (**მ**ოიგონეთ ლექსის შინაარსი).

აქ მგოსანი ასეთ კითხვას გვისვამს: **თ**უ რომ წუთისოფელს, როცა იქნება, ბოლო უნდა მოელოს, მაშინ რა საჭიროა ეს დაუბოლოებელი ზრუნვა, ეს გაუმაძღრობა:

„**მ**აშინ ვიღამ ჰსთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“-ო.

ᲓᲐ ამ კითხვაზე თვით იძლევა პასუხს: **ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ**, წუთისოფელს დროებითი ხასიათი აქვს, მაგრამ, სანამ იგი არ მოსპობილა, სანამ ცოცხალნი ვართ, სიკეთისათვის უნდა ვიზრუნოთ, რათა ერთმანეთს ცხოვრების მძიმე ტვირთი შევუმსუბუქოთო:

„**ᲛᲐᲒᲠᲐᲛ** რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
ᲣᲜᲓᲐ კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
ᲐᲠᲪ კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
ᲘᲧᲝᲡ სოფელში, და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

ᲐᲛ სახით, **ნ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ** არ არის უკიდურესი, სრულიად უიმედო, უნუგეშო პესიმისტი, იგი არ არის ასე წოდებული **ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲣᲠᲘ ᲞᲔᲡᲘᲛᲘᲖᲛᲘᲗ** გამსჭვალული; მისი უალრესათ უარყოფითი შეხედულება მხოლოდ თანამედროვე საზოგადოებას შეეხება—და, **ᲐᲬᲛᲧᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲞᲔᲡᲘᲛᲘᲡᲢ** მგოსანს, მომავლისათვის მაინც კიდევ სწამს სიკეთე და კეთილშობილური მისწრაფება—და ცხოვრებაში ადამიანის დანიშნულებას ოპტიმისტური თვალით შესცქერის.

III. ნ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲘᲠᲝᲜᲘᲖᲛᲘ.

ᲞᲔᲡᲘᲛᲘᲡᲢᲣᲠ მიმართულებას საზოგადოთ კავშირი აქვს ლიტერატურის იმ მიმართულებასთან, რომელიც გავრცელებული იყო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-19

საუკუნის პირველ ნახევარში, ე. ი. **რომანტიულ შკოლასთან.**

რომანტიზმი ნამდვილი ცხოვრების გამომხატველი მიმართულების, **რეალიზმის**, წინააღმდეგი მიმართულებაა—და იგი რეალიზმს წინ უძღოდა. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის იმედების გაცრუებამ საზოგადოება სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, ნამდვილი ცხოვრების სიდუხჭირემ უნუგეშობა გაამეფა—და საზოგადოების უგრძნობიერესნა ნაწილმა, მგოსნებმა, განყენებულ სფეროებში იწყეს ბედნიერების ძიება. შორეული წარსული, უცხო-შორეული ქვეყნები (განსაკუთრებით მაშინდელი დროისათვის საიდუმლოებით სავსე აღმოსავლეთის ქვეყნები), ზღაპრულ-ფანტასტიური სფეროები, გრძნობის, სულისა და გულის ძნელათ გამოსაცნობი კუნჭულები—აი ის ქვეყნიერებანი, რომელთაც მგოსნებმა მიმართეს, რათა იქ მოეძებნათ შვება სინამდვილით მოწამლული სულისა.

რომანტიზმი ლიტერატურაში კლასიკურისა და ფსევდოკლასიკური მიმართულების შემდგომი საფეხური იყო და, წინააღმდეგ კლასიციზმისა, რომელიც განსაზღვრული სალიტერატურო კანონ-წესებით იყო შეზღუდული, მწერლობაში, მწერალთა შემოქმედებაში წინასწარ დაწესებულ რეგლამენტებს სასტიკათ უარყოფდა და გრძნობისა და აზროვნების სრულ თავისუფლებას აღიარებდა. პირადი განწყობილება, დამოუკიდებელი შემოქმედება და გრძნობა, **სუბიექტივიზმი** შეიქნა რომანტიკოსთა დამახასიათებელი თვისება.

ვინაიდან რომანტიული შკოლა პირად განცდებს, სუბიექტიურ გრძნობასა და განწყობილებას ემყარებოდა. ვინაიდან იგი შემოქმედების თავისუფლებას აღიარებდა, ამიტომ რომანტიზმმა სხვადასხვა ხალხის ლიტერატურაში განსხვავებული ხასიათი მიიღო. ბერმანიის რომანტიკოსები განსაკუთრებით ფანტასტიურ სფეროებში დანავარდობდენ და სახალხო პოეზიას ეტანებოდენ; - ინგლისის რომანტიზმი თავიდანვე ასცდა წმინდა-რომანტიულ ხასიათს და რეალურ მიმართულებასთან შეაზავა იგი, რომელმაც ინგლისში უკვე მე-18 საუკუნეში იჩინა თავი; - საფრანგეთის რომანტიზმმა ბერმანიისა და ინგლისის რომანტიზმის შეზავებული მიმართულება შეითვისა, და სხვ.

და არათუ სხვადასხვა ხალხში, არამედ ერთისა და იმავე ხალხის სხვადასხვა შემომქმედის ნაწარმოებშიც ხშირათ განსხვავებული ელფერი გამოსჭვივის რომანტიული მიმართულებისა—იმდენათ, რამდენათაც ეს მწერალი დამოუკიდებელი ნიჭისა და თვითშემოქმედების მექონია. ინგლისის რომანტიკოსებს შორის სულ სხვაა, მაგალ., ვალტერსკოტის რომანტიზმი, რომელიც ისტორიულ წარსულს ზღაპრულ-ფანტასტიური ელფერით ღებავს, და სხვა. რომანტიზმი ბაირონისა, რომელიც ფანტასტიურ ბუნდოვანობას ერიდება და ცოცხალს, გარკვეულ სახეებს გვიხატავს.

საერთო მხარე რომანტიზმისა ყველა ხალხის მწერლებისათვის ის იყო, რომ კლასიციზმის ბორკილი უარ-

ყველ და თითოეულს მათგანს თავისუფლება ენიჭებოდა პოეტური შემოქმედებისა. **დ**ა, აი, სწორეთ ამ თავისუფლებამ წარმოშვა რომანტიზმის მრავალფეროვანობა და მრავალსახეობა.

რომანტიული მიმართულება, **რ**უსეთის მწერლობის საშვალებით (**პ**უშკინი და **ლ**ერმონტოვი), ნაწილობრივ კი პირდაპირ **ე**ვროპიდანაც (**ვ**იკტორ **ჰ**იუგო), **ს**აქართველოსაც შემოიჭრა—და მე-19 საუკუნის დასაწყისში მისი მიმდევარნი შეიქნენ—პირველათ **ო**რბელიანები და ბოლოს **ნ**. **ბ**არათაშვილიც.

რომანტიკოსები ოცნებით ცხოვრობდენ—და ოცნების სფერო განსაკუთრებით **ცა** არის, რომელსაც ყოველთვის შეტრფოდა და შეტრფის მგოსანთა აღტაცებული გრძნობა და ფანტაზია, როგორც სპეტაკ ჰუბუტს, როგორც წმინდა წიაღს, სადაც ისინი განხორციელებულ იმედსა სჭვრეტენ, სადაც მათ ტკბილი ბედნიერება ეგულებათ. **ა**მიტომ იყო, რომ **ბ**ერმანიის მგოსანმა **ნ**ოვალისმა (**ფ**რიდრიხ **ბ**არდენბერგის ფსევდონიმია:—1772-1801) რომანტიკოსთა ემბლემათ **ცისფერი ყვავილი** აღიარა და იგი პოეტური აღმაფრენით ცხოველყო. **ა**მ ემბლემას—ეკვი არ არის, **ნ**ოვალისისაგან დამოუკიდებლათ—**ნ**. ბარათაშვილის სულის-კვეთებაშიც უპოვნია ადგილი—და ჩვენი მგოსანი განსხვავებული სიყვარულით შეტრფის **„ცისა ფერს. ლურჯსა ფერს“**:

„Ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს,
და არ ამ-ქვეყნიერს—
სიყრმიდან ვეტრფოდი“-ო,—

ამბობს იგი*).

ნ. ბარათაშვილის რომანტიზმი არ არის მარტო პირად გრძნობათა გამოხატულება, არამედ იგი უმთავრესათ საქვეყნო აზრითა და გრძნობითაა გამთფარი და გასხივოსნებული. ბუნება, რომანტიკოსთა ეგ სანეტარო თავშესაფარი და სამლოცველო, ნ. ბარათაშვილს იმისთვის უნდა, რომ იქ საერთოდ ყოველს გულდაწყლულებულ ადამიანს შვება მიანიჭოს და ნუგეში სცეს და საზოგადოთ ყოველს ტანჯულ არსებას გამთფობ მზეთა და მანათობელ ვარსკვლავათ მოევლინოს:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო;
მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი;
მინდა - შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო შავარნო, მდელო, სიცხითა დამჭკნარი;
რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს—
და, ერთად შესხივებულნი, შვებას მოჰფენდენ სიცოცხლეს“.
(„აღრ უკიჟინო, სატრფოო“...).

---

*) ეს ლექსი მიბაძვაა რუსული ლექსისა, რომელიც ალ. ჭავჭავაძისგან არის ნათარგმნი („ფერსა ბნელს, ფერსა შავს მე ვეტრფი მარად ყამს“...). აღსანიშნავია, რომ ნ. ბარათაშვილს, რუსული ლექსის **„ბნელი ფერის, შავი ფერის“** მაგიერ, თანახმათ თვისი გემოვნებისა და სულისკვეთებისა, **ცის-ფერი, ლურჯი ფერი** აურჩევია.

მთაწმიდას პოეტი იმიტომ შეტრფის, რომ მისი ღრუბლიანი მთა საერთოდ ნაღვლიანი გულის გამღიმებელია, „გულდახურულთა მეგობარი“-ა:

„მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო!
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოოს და არ დახსნას გულსა ვაება,
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო“!...
(„შემოღაშება მთაწმიდაზედ“).

პოეტი საერთო, საერო ბედნიერებაზე ოცნებობს, ქვეყნისათვისაა თავგანწირული:

„საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა
სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე
საიდუმლო!..“
„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სუ-
ლისკვეთება—
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც
დარჩება!..
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა
გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამო-
უქროლდეს!..“
(„მირბის, მიმაფრენს...“).

ბუნებაში (მტკვრის პირათ) მეოცნებე მგოსანს წუთისოფლის ამაოება აგონდება, ადამიანის გულის გაუმაძღრობაზეა იგი აქ ღრმათ ჩაფიქრებული:

„არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება!..

მაინც რა არის ჩვენი ყოფა—წუთისოფელი,
თუ არაოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს—
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?..“

აწმყოში უნუგეშო მგოსანი—წარსულის ბედნიერ მოვლენათა მოგონებით ტკბება:

„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო!...

. . . . .

ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?!..“

(იხ. „ბედი ქართლისა“.—12 ტაეპი).

საკუთარი სულის-ობლობა (მოიგონეთ წერილი მაიკოსთან) ნ. ბარათაშვილს საყოველთაო სულის-ობლობისათვის შეუფარდებია და ამგვარ სიობლეს გულით დასტირის: „საბრალოა მხოლოდ სული ობოლი“-ო, ამბობს მგოსანი,—იმიტომ, რომ—

„ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,—
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა...
ტკვრა არის შვება უბედურისა!..“ („სული ობოლი“).

თითოეული ერის მოწინავე ადამიანები—და მათ შორის განსაკუთრებით მგოსნები—ყოველთვის ძლიერათ ვრძნობენ თანამედროვე საზოგადოების სიდუხჭირეს, საერთოდ ცხოვრების მოუწყობლობას და რიგიანი ადამიანების მხრით მის სიცარიელეს. ამ სახით, სულიერი ობლობის გრძნობა საყოველთაო, საკაცობრიო გრძნობაა—და, მაშასადამე, ისეთს გენიოს-მგოსანს, როგორიც ნ. ბარათაშვილი იყო, სრულიად დამოუკიდებლათაც შეეძლო

პოეზიაში ამ გრძნობის გამოხატვა. მაგრამ, ეჭვი არ არის, ბარათაშვილის პოეზიაში ინტენსიურათ მის გამოხატვას ხელი შეუწყო იმ ლიტერატურულმა მიმდინარეობამ, რომელიც მე-18 საუკუნეში დასავლ. ევროპაში დაიბადა და შემდეგ მთელი ქვეყნის მწერლობაში შეიჭრა. ეს იყო, ერთი მხრით, გერმანიაში წარმოშობილი ასე წოდებული „Sturm und Drang periode“—**შტურმ უნდ დრანგ პერიოდე** (**ბუკისა და ნაღარის ხანა**), და, მეორე მხრით, ამ მიმართულებასთან ახლოს მდგომი პოეტური მიმართულება—**მსოფლიო სევდის პოეზია.**

ორივე ამ მიმართულების წარმომშობი წყარო—ცხოვრების არარაობა და სიცარიელეა. მოწინავე ადამიანი ცხოვრების ბორკილებს ვერ ითმენს—და იბრძვის ადამიანის პიროვნების გათავისუფლებისათვის, პირადის კეთილშობილური აზრისა და გრძნობის თავისუფლებისათვის. გერმანიის მწერალმა ლესინგმა კლასიციზმის ბორკილები დაამსხვრია, საფრანგეთის მწერალმა ჟანჟაკ რუსომ მშრალი ფორმების მბძანებლობა შეარყია და პირადი გრძნობისა და ნების თავისუფლება წამოაყენა წინ. ადამიანი თავისუფლებისაკენ მიილტვის, რომლისგანაც იგი სიტკბოებას პოულის, და როდესაც ხედავს, რომ ცხოვრება შებოჭილია და კეთილშობილ აზრსა და გრძნობას ფრთა ვერ გაუშლია, იგი ბუკითა და ნაღარით პროტესტს აცხადებს, იგი იბრძვის თავგანწირული, რითაც კი შეუძლია. როცა სისხლის-ღვრამ,— დიდმა რევოლიუციამ მიზანს ვერ მიაწია,

შემდეგ კაცობრიობა სხვა გზას დაადგა: ბრძოლა გრძნობისა და გონების სფეროში გადაიტანა და, თავისუფლების მოსაპოვებლათ, აქაც ერთგვარი რევოლიუცია მოახდინა. **სახელოვანი დიდროს** მეთაურობით **საფრანგეთში** არსდება ფილოსოფიური შკოლა, ასე წოდებული **მატერიალისტური მოძღვრება,** რომელიც ამტკიცებს, რომ არა უხილავი ფანტასტიური ღვთაება, არამედ მატერია, ნივთიერება, ბუნებაა ქვეყნიერობის მამოძრავებელი შემოქმედებითი ძალა და საფუძველი, ბუნებაში ყოველგვარი ცვალებადობა მატერიის ატომების, მისი ელემენტების სხვადასხვა შეზავებითა და მოძრაობით წარმოდგებათ.

მატერიალისტების მოძღვრებაც ერთგვარი **„შტურმ უნდ დრანგი“** იყო საზოგადოებრივი აზროვნებისა და მიმართულებისა, რომელიც საპროტესტო ბუკისა და ნალარის ხმათ გაისმა კათოლიციზმის მოძღვრების საწინააღმდეგოთ, ფანტასტიური-არაბუნებრივი მოძღვრებისაგან ადამიანის გონების გასათავისუფლებლათ. **ა**მას მოჰყვა სალიტერატურო მიმდინარეობა იმავა ხასიათისა-„შტურმ უნდ დრანგ პერიოდე“, რომლის მისწრაფებაც იყო აგრეთვე ადამიანის გრძნობა-გონების გათავისუფლება, საზოგადოთ **თავისუფლება ადამიანის პიროვნებისა.**

„**შ**ტურმ უნდ დრანგის“ შკოლას **გ**ერმანიაში საძირკველი **გ**ერდერმა ჩაუყარა—და მისი უდიდესი მოწაფე **გ**ეტე იყო. **გ**ეტეს დრამატიული ნაწარმოები „**პ**რომეთე-

ოსი“ (ესხილის „პრომეთეოსის“ მიმზგავსება) დაშახასიათებელია ამ სალიტერატურო მიმართულებისა. პრომეთეოსი ადამიანთა მოდგმის მეგობარია: იგი ღმერთებს ებრძვის და, ადამიანთა კეთილდღეობისათვის, მათ ცეცხლსა სტაცებს.—„რისთვის უნდა გიწამო და გეთაყვანო შენო?“—ეუბნება პრომეთეოსი ზევსს:—„ბანა შენ ტანჯულისათვის ოდესმე ტკივილები დაგიამებია? განა შენ მტირალის თვალებზე ცრემლები შეგიშრიაო?!“—ამგვარ პროტესტში რევოლიუციური მებრძოლი ხმა მოისმის კაცობრიობის კეთილდღეობისათვის—და ეს არის ის ხმა პოეტური აღტყინებისა და წინააღმდეგობისა, რომელსაც ლიტერატურაში **მსოფლიო სევდა** ეწოდება.

მსოფლიო სევდის გინა გოდების პოეზიაში პირველი ადგილი ბაირონს უჭირავს (1788 წლ. 22 იანვ.—1824 წლ. 19 აპრ.). მთელი არსება, მთელი ცხოვრება ბაირონისა თანამედროვე საზოგადოების ბორკილების საწინააღმდეგოთ იყო მიმართული. მისმა სულმა ვერ გაუძლო ინგლისის მაშინდელი აშმორებული ცხოვრების პირობებს—და იგი წყევლითა და კრულვით გაშორდა სამშობლოს. მისმა გრძნობამ და გონებამ ვერ აიტანა ულმობელ მტერთაგან ბერძენთა ჩაგვრა—და ამ კლასიკური სახელოვანი ხალხის მჩაგვრელებს თავგანწირულათ შეებრძოლა იგი. ბაირონის მრავალი ლექსი, მისი „ჩაილდ-ჰაროლდი“, „მანფრედი“, „დონჟუანი“, განსაკუთრებით „კაინი“—მედგარი პროტესტია ადამიანის პიროვნების

ჩაგვრის წინააღმდეგ, აზრისა და გრძნობის თავგანწირული ბრძოლაა ადამიანის გონებრივ-ზნეობრივი თავისუფლებისათვის.

ბაირონის გენიის ცეცხლი მთელს განათლებულ ქვეყნიერობას მოედვა. ბაირონის პოეტური შემოქმედება **ბაირონიზმის** სახელწოდებით მოინათლა—და ამ სახელწოდებით აღინიშნა ნაღვლიანი რომანტიზმისა და შებრძოლი მსოფლიო გოდებისაგან შეზავებული პოეტური სალიტერატურო მიმდინარეობა. ბაირონიზმმა რუსეთის მგოსნებიც (პუშკინი და განსაკუთრებით ლერმონტოვი) გაიტაცა—და ბოლოს ჩვენშიც შემოაშუქა.

ნ. ბარათაშვილი ბევრნაირათ იყო ბაირონის მონათესავე. ფიზიკურათაც თითქო განგებამ ჩვენი გენიოსი-პოეტი ინგლისელი გენიოსივით დაჩაგრა და კოჭლი გახადა, რათა ამ ნაკლულევანებას როგორც პირველის, ისე მეორისაც პესიმისტური სულის-კვეთება გაეძლიერებია.

ნ. ბარათაშვილის რომანტიზმი ისევე ნაღვლიანია, როგორც ბაირონისა. ევროპიელ რომანტიკოსთა სალმერთებელი ბუნება ბარათაშვილსაც სალოცავ ტაძრათ გაუხდია დ—„მწვრი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით“, იქ ეძიებს „განსვენებას წრფელითა ზრახვით, გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით“, საოცნებო ბუნება და „უდაბნოდ მდგარი ტაძრის წმიდა ლამპარი“ ათფობს „ციური სხივით“.

ჩვენი პოეტის ნაღვლიან სულს მოწყენილი სახე, ნაღვლიანივე ბუნება ართობს და ატკბობს (იხ. ამის შე-

სახებ თავი IV)—და ამნაირი სულის განწყობილებით ენა-თესავება იგი ინგლისელ გენიოსს.

ბარათაშვილსაც თანამედროვე საზოგადოება ისევე სწამლავს, როგორც ბაირონს, და, როგორც ბაირონი ჩაილდ-ჰაროლდის სახით, ბარათაშვილიც მზათ არის თავისი საოცნებო მერანით სამშობლოდან გადიხვეწოს,—მაგრამ გადიხვეწოს იმ მიზნით, რომ შორეულ მომავალს გზა გაუკაფოს და დღევანდელის გახრწნილი საზოგადოების გასაკეთილშობილებლათ ნიადაგი მოამზადოს:

„რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა
და მეგობარსა!
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს
ტკბილმოუბარსა!
საც დამიღამდე, იქ გამოვენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა-
სამშობლო,—
მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა
მე საიდუმლო!"-ო,—

გოდებს პოეტი.

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის-
კვეთება—
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც
დარჩება"-ო,—

ლაღადებს იგი.-ამგვარივე აზრია გამოხატული პოეტის მეორე შესანიშნავ ლექსში („ფიქრნი მტკვრის პირას"):

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა...
არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში, და სოფლისთვის არა იზრუნოს"...

აი რა არის მიზანი ჩვენი პოეტის ცხოვრებისა! ეს არის მედგარი კვნესა მსოფლიო მგოსნებისა, ეს არის მსოფლიო სევდისა და გოდების შეუპოვარი ხმა ბრძოლისა, კაცობრიობის კეთილდღეობისაკენ მიმართული...

ბარათაშვილის „სულო ბოროტო“, მიუხედავათ მისი სიმოკლისა და მცირესიტყვაობისა, ბეტესა და ბაირონის შესანიშნავ ნაწარმოებთ—„პრომეთეოს“-სა დ „ქაინ“-ს არაფრით ჩამოუვარდება (მოიგონეთ აქ ლექსი „სულო ბოროტო“ სრულათ).—მზგავსივე კვნესა და გოდება, მზგავსივე პროტესტის, მედგარი ბრძოლისა და თავგანწირულების ხმა მოისმის ჩვენი პოეტის გენიალურ ლექსში „მერანს“-ში:

„დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან—ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!..
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის—
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!“...

მსოფლიო მგოსნების, ბეტესი და ბაირონის, კვნესა და გოდება ჩვენი გენიოსის კვნესასა და გოდებაზედ უფრო ძლიერი და მედგარი როდია: ნ. ბარათაშვილის ხმა, მიუხედავათ მისი სიყმაწვილისა, მსოფლიო გენიოსთა ხმას უტოლდება და საუცხოო ჰარმონიით აშვენებს.

IV. 6. ბარათაშვილის სულის-ოგლოგის შედეგები.

ბარათაშვილი, მართალია, ადამიანთა საზოგადოებაში თავს ობლათ გრძნობდა, ადამიანთა შორის ვერ პოულობდა მეგობარს, რომ თვისი ტკივილები შეეჩივლა, აზრი და ფიქრი გაენდო; მაგრამ, რაკი სული მისი ამ ობლობით, ამგვარი მარტოხლობით შეძრწუნებული იყო, მგოსანი მაინც ეძიებდა გულის მეგობარს, სულის მესაიდუმლეს—და იპოვნა კიდეც: ეს არის ბუნება, ცა და მიწა, მთა და ბარი, ხე და ბალახი. ერთ ლექსში, სახელდობ „ჩინარ"-ში, პოეტი პირდაპირ აცხადებს, რომ ბუნების ენა ადამიანთა ენაზედ უფრო ცხოველია:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო
უსასაოთაც და უსულთ შორის—
და უცხოველეს სხვათა ენათ,
არს მნიშვნელობა მათის საუბრის".

ეგვე აზრი რუსის მგოსანს ტიუტჩევს ასე აქვს გამოთქმული:

„Не то, что мните вы, природа—
Не слѣпокъ, не бездушный ликъ.
Въ ней есть душа, въ ней есть свобода,
Въ ней есть любовь, въ ней есть языкъ". (ის არ არის ბუნება, რაც რომ თქვენა გგონიად: არა ტვიფარი, არა უსულო სახე:—იმას უდგას სული, იმაში სუფევს თავისუფლება, იმაში არსებობს სიყვარული, იმას აქვს ენა).

ტიუტჩევი ჩვენს მგოსანზედ უფრო ადრე ცხოვრობდა (1803—1873)—და შესაძლოა ბარათაშვილი მის ლექსებს იცნობდა.

ამ საბით, რაკი მგოსანმა ბუნების ენა შეიგნო, მისი სულის-ობლობა ნელდება, მისი კაეშნის სიმწვავე თითქმის სრულიად ქრება: იგი ბუნებას ისე ესაუბრება, როგორც მეტყველსა და შეგნებულ არსებას, და მას უზიარებს თავის გულის-საიდუმლოს, სიხარულსა და მწუხარებას.

საზოგადოთ მთელი ბუნებაა მგოსნის ტკბილი მოსაუბრე, მისი გულითადი მეგობარი; მაგრამ ბარათაშვილი განსაკუთრებით სევდიანს, ნაღვლიან ბუნებაში პოებს სულის სიმშვიდეს, მოსვენებას, რადგან თვით მისი სული სევდით არის მოცული—და სულის თვისება ამგვარია: მხიარული მხიარულს ეკუება და სევდიანი—სევდიანს. აი, მაგალითად, როგორ იხატება ბუნებასთან პოეტის სულიერი განწყობილება ლექსში, რომელსაც ეწოდება „შემოღამება მთაწმიდაზედ“:

„ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი
ღელეთა შორის **აღმოკვნესოდენ**--
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი
ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!..
მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვნოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება,
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!..“

ეჭვი არ არის, პოეტი თავისთავს გულისხმობს, როცა „ღრუბლიან მთას“ გულდახურულთა მეგობარს უწოდებს.

აი კიდევ იმავე ლექსში ადგილები, მაჩვენებელი იმისა, რომ ბარათაშვილი განსაკუთრებით **მყუდროს, წყნარსა** და **სევდიან** ბუნებას შეტრფის:

1. „**მახსოვს** იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
ალდევ ბუნდოვანი, შენს ბილიკად მიმოვიდოდ.
და წყნარ საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი."

2. „ჰოი საღამოვ, **მყუდროვ, საამოვ,**
შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს მჭმუნვარება შემომესევის,
შენდა მოვილტვი განსაქარვებლად"-ო.

მეორე ლექსში ამბობს:

„**მ**იყვარს **თვალები მიბნედილები,**
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები"-ო.

ყველა ეს დამამტკიცებელია იმისა, რომ სევდიან მგოსანს სევდიანი სახე მოსწონს, ნაღვლიანსა და მყუდრო ბუნებაში ისვენებს იგი.

სულით შემუსვრილი მგოსნის მიდრეკილება ნაღვლიანი გამომეტყველებისადმი იმდენათ ძლიერია, რომ მოლიმარსა და მხიარულ ბუნებაშიც კი მოწყენილობას ხედავს,—მზიანი დღე, ლაჟვარდი ცა, ანკარა მდინარე პოეტს მოწყენილათ ეჩვენება (ნახ. „**ფ**იქრნი **მ**ტკვრის პარას" —დასაწყისი).

ბარათაშვილი ისე დაახლოებია და დაკავშირებია ბუნებას, ისე შეუყვარებია იგი, რომ, ადამიანთაგან განწირული, ჭირისუფლობას მისგან მოელის, ნამდვილ ჭირის-

ულლათა და დამტირებლათ იგი მიაჩნია: „შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შიგრის ტიალის მინდვრის—და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის! სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი. ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად—მივალალებენ სვავნი მყივარნი“-ო,—ამბობს ქვეყნისაგან განწირული—და მაინც კიდევ ქვეყნისათვის თავგანწირული მგოსანი.

„რეალურ ცხოვრებაში უიმედო და უნუგეშო პოეტი—ხან ბუნების წიაღში ეძიებს და პოულობს ნაღვლიანი სულის მალამოს და ხან ოცნების სამეფოში. მგოსანი ერთ ლექსში ამბობს („ვპოვე ტაძარი“): „ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი, მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი, ანგელოსთაგან იკრძალა მუნ დავითის ქნარი—და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი“-ო

ამგვარს ტკბილ წუთებს უხატავს ოცნება ბედნიერების მწყურვალ მგოსანს. მაგრამ ცხოვრებას **საწუთრო** ანუ **წუთისოფელი** იმიტომ ეწოდება, რომ ადამიანის საზოგადოთ ამქვეყნიური ცხოვრება წუთიერია, ბედნიერება ათასში ერთხელ თუ გაიელვებს მის ცხოვრებაში, დანარჩენ დროს კი მისი არსება შხამითა და წამებითაა სავსე, რადგან, პოეტის სიტყვით, **„სოფელი ცრუ და მუხთალია“**. პოეტის სული საოცნებო ტაძარში უაღრეს ბედნიერებას გრძნობდა,—„მაგრამ საწუთრო განა ვისმე დიდხანს აბარებს?! განჰქრა ტაძარი—და უდაბნო ჩემდა მდუმარებს... განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი? არა, მოსძაგდა მას **სოფელი ცრუ და მუხთალი**“-ო,—ამბობს მგოსანი.

წუთისოფლის სიმუხთლე ბარათაშვილს განსაკუთრებით თვალსაჩინოთ „სულო ბოროტო“-ში აქვს გამოხატული. ცხოვრება ბოროტი სულებითაა სავსე (რომელნიც, ცხადია, იგივე ხორცშესხმული ადამიანები არიან, ბოროტი აზრითა და გრძნობით გამსჭვალულნი): ბოროტი სული სიყრმის დროსვე ევლინება ადამიანს და საოცნებო აღთქმით ხიბლავს მას, მაგრამ მალე ღალატობს—და ერთბაშათ უწამლავს წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც.

ასეთია ამ ლექსის ზოგადი აზრი, საკაცობრიო იდეა. მაგრამ საფიქრებელია, რომ ამ მსოფლიო იდეის განმარტების დროს ჩვენს მგოსანს, ნებით თუ უნებლიეთ, თვალწინ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული და აწმყო ბედი ეხატებოდა და საკაცობრიო იდეას სამშობლო ქვეყნის ცხოვრების საღებავებით კაზმავდა: „ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას? თითქო მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას!.. მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?!..“ ამ სიტყვებში მოისმის ქართველი ერის მიმართ სხვადასხვა დამპყრობელის ისტორიული დაპირება, აღთქმა, რომლითაც ისინი ჩვენს ქვეყანას თითქო მფარველობასა და ბედნიერ ცხოვრებას უქადიდენ, ნამდვილათ კი ამ აღთქმას მალე არღვევდენ და ბოროტ სულებათ გვევლინებოდენ (მოიგონეთ სხვადასხვა დამპყრობელის ურთიერთობა საქართველოსთან,—შეადარეთ ამ ლექსის აზრი ფაზელის ლექსის „შოშია“-ს აზრს).

V. 6. ბარათაშვილი—ბედნიერი ცხოვრების მაძიებელი.

„სულო ბოროტო“-ში მოისმის პოეტის მედგარი ხმა და წადილი ბოროტ სულებთან ბრძოლისა. პოეტი, რომლის სახითაც ამ ლექსში ყოველი შეგნებული ადამიანი იგულისხმება, დაჩაგრულათ გრძნობს თავს და ამბობს:

„რა ვარ ამ სოფლად დაშთენილი — უსაგნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?!“-ო.

ასე დაუჩაგრავს მგოსანი ბოროტ სულს, მაგრამ იგი დამჩაგვრელს ადვილათ არ ნებდება, მედგრათ ებრძვის და მრისხანე ხმით უყივის:

„ბანვედი ჩემგან, ჰოი მაცდურო, სულო ბოროტო!“

პოეტის ბრძოლა ბედნიერი ცხოვრების მოსაპოებლათ არის მიმართული. ეს ბრძოლა ბედნიერებისათვის სხვა ლექსებშიც აქვს ბარათაშვილს გამოთქმული: „ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი, - ვინძლო იპოვნო შენი საშვენი“-ო, — ეუბნება მგოსანს იდუმალი ხმა (ლექსი „ხმა იდუმალი“) — და ისიც ეძიებს უკეთეს ხვედრს, სანატრელ ცხოვრებას: „ჰოი ჩონგურო! ნეტავი ოდეს ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს, რომ უკუმყროდეს მე, სევდიანსა, გულისა სენი“-ო, - შეჩივის მგოსანი ჩანგურს (ლექსი „ჩონგურს“).

პოეტი კიდევ ამბობს (ლექსი „ჩემი ლოცვა“):

„ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტღელვილი!..
ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,

„ამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა“...

ასე ენატრება მგოსნის ნაღვლიან სულს ბედნიერება და იბრძვის მის მოსაპოებლათ, თუმცა იმედი არ აქვს, რომ სანატრელ ხვედრს ეღირსოს (ლექსი „ხმა იდუმალი“): „მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ“-ო; ან კიდევ (ლექსი „ჩონგურს“): „მაგრამ სად არის შენი ღიმილი, სიხარულითა გამოჩენილი? მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი“-ო.

ამგვარივე უიმედობა მოისმის „ვპოვე ტაძარ“-ში, სადაც მუხთალი წუთისოფელი მგოსანს უცებ უქრობს ტკბილ ოცნებას—და იგი უნუგეშოთ მოსთქვამს:

„ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი,
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი...
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი—
და დავალ ობლად—ისევ მწირი, მიუსაფარი“...

მართალია, პოეტს იმედი დაკარგვია, რომ ბოროტ სულებს სძლიოს და სიცოცხლეშივე პირადათ მას ბედნიერება ეღირსოს; მაგრამ ეს უიმედობა მგოსანს არ აჩერებს—და იბრძვის, რათა ეკლიანი გზა გაკაფოს და, შორეულ მომავალში მაინც, კაცობრიობას სანატრელი ცხოვრება მიენიჭოს. ეს აზრი ბარათაშვილს გამოთქმული აქვს გენიალურ ლექსში—„ფერანში“.

ქვეყნისათვის, თავგანწირულობის აზრი პოეტს ისე იტაცებს, რომ ამ მიზნისათვის იგი მებრძოლს ავალებს-უარყოს საკუთარი სიამოვნება და, თუ ამას საქმე მოითხოვს, დასტოვოს საყვარელი სამშობლო, „სატრფო გულისა“—და სიცოცხლე თვისი გასწიროს, ოღონდ „ვარსკვლავთა თანამავალთა“, ე. ი. თანამოაზრეთა და შთამომავლობას, ამცნოს „გულის საიდუმლო“, თვისი მიზანი (ნახეთ ლექსი „მირბის მიმაფრენს“ და მოსძებნეთ იქ ეს ადგილი).— ამგვარის თავგანწირული ბრძოლის მიზანი მგოსანს შემდეგ სიტყვებში აქვს გამოხატული: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება—და გზა ულალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება!.. და ჩემს შედგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს—და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს“!..

ლექსი „მირბის-მიმაფრენს“ მცირემნიშვნელოვანი შემთხვევით არის გამოწვეული: შამილთან ბრძოლის დროს ლეკებმა, სხვებთან ერთად, ბარათაშვილის ბიძაც, ილია ორბელიანი, დაატყვევეს. პოეტი ამ გარემოებამ ძლიერ შეაწუხა—და ეს ლექსი დასწერა. მაგრამ ნათესაურმა გრძნობამ მხოლოდ აღსძრა პოეტის სული, და ლექსში კი ზოგადი, საკაცობრიო იდეა გამოხატა, სახელდობ—**ცხოვრების გასაუმჯობესებლათ ქვეყნისათვის თავის გაწირვა.**

ამ ლექსის გარეგანი ფორმა ძალიან ჩამოგავს პოლონეთის მგოსნის მიცკევიჩის ლექსს, „ფარის“-ს. ეს

ლექსი, როგორც ვიცით, ჩვენს მგოსანს არა-ერთხელ მოუსმენია სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლის დემენტიევისაგან, რომელიც განსაკუთრებით ამ ლექსს თურმე მშვენიერათ კითხულობდა; მაგრამ ბარათაშვილის ლექსის შინაარსი და იდეა იმდენათ დამოუკიდებელი და გენიალურათ გამოთქმულია, რომ ლექსის ღირსება ფორმის მიბაძვით სრულიადაც არ მცირდება,

---

VI. ნ. ბარათაშვილის აზრი სამშობლოზე.

„სუმბულსა და მწირ"-ში ბარათაშვილმა სიმბოლიურათ გამოსთქვა თავისი შეხედულება საზოგადოთ თითოეული ადამიანისა და კერძოთ სხვადასხვა ერის ბუნებრივი თავისუფლების შესახებ. ყოველი ადამიანი ბედნიერი მხოლოდ იქ არის, სადაც ის დაბადებულა და გაზდილა და რომლისთვისაც მას თვალი, გული და სული შეუჩვევია. სუმბული ვერ სძლებს და ჭკნება უცხო ადგილას, თუმცა მას მზრუნველობასა და მოვლას არ აკლებენ, თფილათ ინახვენ; ჭკნება იმიტომ, რომ, ბალადიდელის თქმის არ იყოს, **„ბალია ყველა ერთია, ოქროსი იყოს, გინდა ხის"**.

ჩვენს პოეტს უყვარს მშობელი მხარე, რომლის დატოვებაც დიდ სხვერპლათ მიაჩნია—და ამ სხვერპლს მხოლოდ ქვეყნის საბედნიეროთ სწირავს. ამ მხრით ნ. ბა-

რათაშვილი ბაირონის კონტრასტს შეადგენს. ბაირონი, ჩაილდ-ჰაროლდის პირით, მიმართავს გემს, რომლითაც ის მოგზაურობს, და ეუბნება:

„ხომალდო, დაე ზღვამ იშფოთოს!
მიენდე მის კვნესას მწარეს!..
წა, გასწი! ოღონდ კი მაშორე,
მაშორე ჩემს მშობელ მხარეს!..“-ო.

იგივე ჩაილდ-ჰაროლდი, რომელშიც ბაირონის პიროვნება გამოიხატა, ეუბნება ბავშს, სამშობლო ქვეყნისა და მშობელთა დატოვების გამო მტირალს:

„მართალხარ: შეშვენის ეს ტმუნვა
გულს, წრფელი ცრემლებით ნამულს...
მე შენებრ გულჩვილი როდი ვარ,—
სიცილით ვშორდები მამულს“-ო.

ბაირონის ბიოგრაფიიდანაც ვიცით, რომ თანამემამულეთაგან გაბოროტებული მგოსანი თავის ქვეყანას წყევლა-კრულვით მოშორდა და შორეული ქვეყნიდან ერთერთს თავის მეგობარს წერდა: „ნუთუ ჩემს მეგობრებს შორის აღმოჩნდება იმისთანა უგუნური, რომ ჩემი გვამი სიკვდილს შემდეგ ჩემს ქვეყანაში გადაასვენოსო!“

ამ სახით, პოეზიის ხასიათით ბაირონის მიმდევარი ჩვენი მგოსანი - ბაირონისაგან მით გაირჩევა, რომ სამშობლო მხარე უყვარს, თუმცა თანამემამულეთაგან ბაირონივით ისიც განწირული და შეურაცხყოფილია. როგორც ბაირონის ჩაილდ-ჰაროლდი გემს, ისე ბარათაშვილის მხედარიც თავის მერანს ეუბნება: „რაა, მოვშორდე ჩემსა

სიყვარულიც გამოუცთია, მაგრამ ნ. ბარათაშვილს ქალების მხრით ტრფობის სფეროში მაინცადამაინც დიდი მოწონება არ ქონია: გარეგნობით მისდამი ქალების თანაგრძნობას მისი კოჭლობა უშლიდა ხელს, ხოლო საქმროთ მის არჩევას—მისი ნივთიერი სიღარიბე

მისი სიყვარულის საგანი იყვენ: „მებულკე“ ფრანგის ლაბიერის ქალი დელფინა, რომელსაც უძღვნა ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“,—ნ. ო., რომლისგანაც არის გამოწვეული ლექსი „მიყვარს თვალები მიბნედილები“, და სხვ. თვით ამ ლექსების შინაარსი გვიჩვენებს, რომ ტრფობის საგანთა მხრით ჩვენს პოეტს შესაფერი თანაგრძნობა ვერ დაუმსახურებია.

სხვა მიზეზებს შორის, ქალების მხრით მისდამი სქესობრივ სიყვარულში ამ გულგრილობამ, ამ ინდიფერენტიზმმა პოეტის ტრფობაში ხორციელობა გაანელა და სულიერობა გააძლიერა, ხოლო თვით სულის ნაღვლიანობას მეტი სიმწარის ელფერი შემატა.

ტრფობის გრძნობას ბარათაშვილმა რამდენიმე ლექსი უძღვნა—და აქაც ყოველგან გამოსჭვივის მისი სულის ნაღვლიანობა, მისი „კაეშნის მგოსნობა“. პოეტს ენატრება საყვარელი არსების ღიმილი, მას აცოცხლებს სატრფოს მზიანი, ნათელი სახე:

„ხმით მშვენიერით, ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელხინები,—
თვალთ არონინებ, გულს დააწყლულებ—
და ღიმილითა ესალბუნები“-ო,—

ამბობს მგოსანი ერთ ლექსში („ეკ....ნეს"). — მეორე ლექსში („ალმოხდა მნათი"...) სატრფოს ეველერება:

„მაშ გამობრწყინდი, მფინე შუქი ეგ საოცარი—
და განანათლე ,ვლავ ცა ჩემი ესრეთ საზარი"-ო.

ასე ენატრება პოეტს სატრფოს ღიმილი, მის მხიარულ სახეს შეეტრფის,— ხოლო სულიერ სიმშვიდეს მაინც კიდევ თანაგრძნობით სავსე მოწყენილობაში პოულობს, ე. ი. იმისთანა სახეში, რომელიც მისებრ ნაღვლიანი და კაეშნიანია, მაგრამ მისდამი თანაგრძნობის გამომხატველი (მოიგონეთ, როგორი ბუნება უფრო ამშვიდებს მგოსანს):

„შეეთვისა სული შენსა მოღრუბლვას,
შეეჩვია გული სევდითა კრთოლვას!
ნუ გგონია-ბედსა მით დამიმწარებ,
რომ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებ...
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,
როს მიბყუტვით ნისლით გამომინათებ".

(„ჩემს ვარსკვლავს").

სატრფოს ცრემლიანი თვალები პოეტს ბედნიერ დღეებს აგონებს, რადგან ამ ცრემლებში მგოსანი თვისი დაობლებული სულისადმი თანაგრძნობას ხედავდა („სატრფოვ, მახსოვს,—თვალნი შენნი"...):

„აწ მივხვდი მე, უბედური,
თვალთა შენთა მეტყველებას:
თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ობლობას!..
ახლაც, ოდეს ვნახავ სადმე
ცრემლსა თვალთა მშვენიერთა,
გულის კვნესით ვიგონებ მე
დღეთა ჩემთა ბედნიერთა".

ზოგჯერ ბარათაშვილის გულს შავთვალა—ცოცხალი ხასიათის ქალის სილამაზეც იზიდავს, თუმცა ამ ცოც-

ხალს. ცქრიალა სახეში მაინც კიდევ **სიმშვიდესა** და **სიწყნარეს** შეხარის: „**მ**ადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვალებიანო, დღისით მზევ, ღამით მთოვარევ, **წყნარო** და **ამოხმიანო!..**“

ქაეშნის მგოსანს განსაკუთრებით **მოწყენილი სილამაზე** მოსწონს, **კდემამოსილი მშვენიერება**—და ამიტომ ამბობს: „**მ**იყვარს თვალები, მიბნედილები, ეშხისა ცრემლით დაქანცულები“-ო.

6. ბარათაშვილი, რასაკვირველია, როგორც ჭეშმარიტი მგოსანი, არ შეიძლება გარეგან სილამაზეს, მშვენიერებას თაყვანს არა სცემდეს; მაგრამ გარეგან სილამაზეს და მშვენიერებას მის თვალში სრული ღირებულობა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა იგი სულიერ სიმშვენიერესთან არის დაკავშირებული („**რ**ად ჰყვედრი კაცსა“...):

„**ს**ილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების—
და, ვით ყვავილი, თავისს დროზე მჰსწრაფლად დაჭკნების;
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები...
მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,
და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გრწამს—არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?..
ოვით უკვდავება **მშვენიერსა სულში მდგომარებს,**—
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს!
მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!..“

ამიტომაც არის, რომ პოეტი მეგობრებს ურჩევს: „ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა ალსა“-ო. წმინდა გრძნობით გაიმსჭვალეთ, სპეტაკ სულს, წრფელ გულს დაუახლოვდით, ხოლო კეკელა ქალს ერიდეთო („ჩემთ მეგობართ“):

„არ შეემსჭვალოთ მოკისკასეს კეკელა ქალსა,
სულის დამტყვევნელს და გრძნობათა ცრუდ მომდერალსა!
აშიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს“-ო.

ამ სახით, ნ. ბარათაშვილს ჭეშმარიტი სიყვარული, მშვენიერ სულთა კავშირი უკვდავ გრძნობათ მიაჩნია, ისე როგორც გრ. ურბელიანსაც. რომელიც ამბობს, რომ ჭეშმარიტ ტრფობას დასასრული არ აქვს და საიქიოსაც განაგრძობს არსებობასო.

წმინდა გრძნობა, წრფელი სიყვარული ვულწრფელი ადამიანის მხრით თავგანწირულობას იწვევს -- და ამიტომაც ნ. ბარათაშვილი ამბობს („შევიშრობ ცრემლსა“):

„შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს --
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!“-ო.

„ბედი ქართლისა“

(ზეიმა).

წვრილ ლექსებს გარდა **ნ. ბარათაშვილს** დაუწერია პატარა ისტორიული პოემა, „**ბედი ქართლისა**“. **ამ** პოემის შინაარსი გვიხატავს **ალამამადხანის** შემოსევას 1795 წელს (**მოიგონეთ** ისტორიული ფაქტი და პოემის შინაარსს შეადარეთ).

პოემაში ბევრი შესანიშნავი ადგილია:

1. **მეფის ლოცვა,** რომლითაც **ირაკლი** **უფალს** მტერთაგან ქვეყნის ხსნას ევედრება („**მწყემსო** კეთილო“ და სხვ., 8 ტაეპი).

ომის დროს თითოეული მოწინააღმდეგე მხარე **ღმერთს** „მტერზე გამარჯვებას“ შესთხოვს ხოლმე; მაგრამ **ირაკლის** ლოცვა იმით არის განსხვავებული, სამართლიანი და ვულწრფელი, რომ პირაქით ძალმომრეობით შემოსეული მტრის უკუქცევას, უდანაშაულო ქვეყნის გასაჭლეტათა და დასამონებლათ მებრძოლ მტერზე გამარჯვებას ევედრება **უფალს.**

2. **მეფის სიტყვა**, რომლითაც იგი ჯარს ამხნევებს და მტერთან მედგარი ბრძოლისათვის იწვევს:

„**ჰხედავთ**, ვია არის კადნიერებით
შეკრბების ჩვენზედ **უსჯულოება?**“—და სხვ. (9 ტაეპი).

ამგვარი სიტყვები **ომის** დროს ჩვეულებრივია. **ყოველი** მეფე და მხედართმთავარი ომის წინ ჯარებს გამა–

„ბნნეველი სიტყვებით მიმართვენ ხოლმე და მტრის გასაჟლეტათ იწვევენ და აქეზებენ. მაგრამ სულ სხვა ვრძნობას იწვევს ამგვარი სიტყვა, როცა მისი წარმომთქმელი ომიდან შორს იმყობება, ისე რომ საკუთარი სიცოცხლე მისი უზრუნველყოფილია, და ჯარისკაცებს ეუბნება—წადით და ომში გაწყდითო. Ერეკლე მეფის სიტყვას კი როგორც ამ პოემაში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ისე ყოველთვის იმიტომ ქონდა, რომ თვითონაც უბრალო ჯარისკაცივით იბრძოდა, ჯარებს წინ უძღოდა, პირველ რაზმში იდგა და საკუთარ სიცოცხლეს არ ზოგავდა. Ამიტომაც იყო, რომ Ერეკლეს ჯარი ყოველთვის განსაკუთრებული ვაჟკაცობით იბრძოდა; ამიტომაც არის, რომ პოემაში ჯარის პასუხი წრფელი გრძნობითაა გამოწვეული:

„შენი გამჩენის ჭირიმე, შენი“ .. და სხვ (8 ტაეპი).

3. **Ომის აღწერა:**

„Დაჰკრეს ნაღარა! გულნი შეზარა“—და სხვ. (10 ტაეპი).

Პოეტი აქ ორიოდე სიტყვით ცხოვლათ გვისურათებს ომის საშინელებას, რომელიც იხატება განსაკუთრებით მშვენიერს პოეტურ შედარებებში:

„Ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
Ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მეედარნი—
Და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი“.

4. **Ბუნების აღწერა.**

Პოემაშიც, ისე როგორც სხვა ლექსებშიც, ნ. Ბარათაშვილი ბუნებას, Არაგვის პირებს, ჩვეულებრივათ

აცოცხლებს და, როგორც მახლობელი და მეგობარი, სიყვარულით ესაუბრება მათ. Ირაგვის ნაპირების სიმშვენიერისა და მომხიბლაობის გამოსახატავათ მგოსანი მეტათ მოხთენილს პოეტურ ხერხს ხმაროობს: რაც უნდა გზას ეშურებოდეს ქართველი მგზავრი, შენს შვენებას რომ იხილავს, არ შეუძლია შენს ბუჩქებში არ დაისვენოს და თვალი და გული დიდხანს შენი ცქერით არ დაატკბოსო,—ეუბნება პოეტი Ირაგვის პირებს:

„მორბის Ირაგვი არაგვიანი“—და სხვ. (18 ტაეპი).

5. **ეროვნული საკითხი.**

„ბედი ქართლისა“-ში საყურადღებოა Ირაკლი მეფესა და სოლომონ მსაჯულს შორის საუბარი ქართლ-კახეთისა (და, მაშასადამე, მთელი საქართველოსაც) ბედილბლის გადაწყვეტის შესახებ.

პოემისათვის მგოსანს „ბედი ქართლისა“ იმიტომ უწოდებია, რომ Ალამამადხანთან ბრძოლის დროს Ირაკლიმ საბოლოოთ გადასწყვიტა თავისი სამეფოს ბედი. Თვით მეფე ამ დროს უკვე მხცოვანი იყო და სიყმაწვილის ენერგია და გამჭრიახობა აღარ მოეპოებოდა; მეფის ოჯახში მრავალრიცხოვან შვილებს შორის, ტახტის მემკვიდრეობის გამო, გამწვავებული ურთიერთობა სუფევდა; საქართველო უკვე დიდი ხნის წინათ დანაწილებული იყო სხვადასხვა სამეფოთა და სამთავროთ—და Ირაკლის ამაოთ ჩაუარა მეცადინობამ, რომ მთელი საქართველო ერთი მეფის უფლებაში გაეერთიანებია, და საერთო მტრის შე-

მოსევის დროსაც კი ეგ სამეფო-სამთავროები განზე იდგენ და ერთმანეთს არ შველოდენ; დასასრულ, ქრისტიან ქართველთა მუდმივი მტერი—მამადიანობა ძველებურათ მძვინვარობდა.

ალამამადხანთან ბრძოლის დროს ირაკლის ყველა ეს გარემოება თვალწინ ნათლათ წარმოუდგა—და იმედის თვალი ერთმორწმუნე ქვეყანას—რუსეთს მიაპყრო.

აი ამ საგანზე ესაუბრება ირაკლი ერდგულ მსახურს—სოლომონ ლეონიძეს, რომელსაც, სხვათა შორის, რუსეთთან მტკიცე დაკავშირების თავის განზრახვას ასე უსაბუთებს:

„დიდი ხანია - გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი—სარწმუნოება“-ო.

საგულისხმოა ამაზე მსაჯულის პასუხი, რომელშიც ცხადათა ჩანს გადაჭრილი შეხედულება ერის თავისუფლებისა და ერთა შორის კავშირის გონიერი საფუძვლების შესახებ:

„ჯერ სამაგისო რა გვემართება“—და სხვ. (7 ტაეპი).

ამ საგნის შესახებ სოლომონ მსაჯულის აზრს ეთანხმება მისი მეუღლის, სოფიოს, აზრიც (იხ. თავი VI, გვერდი 46), და რადგან სოფიო პოლიტიკის გარეშე მდგომ ადამიანათ არის გამოხატული, ოჯახის ქალათ და, მაშასადამე, ხალხის წარმომადგენლათ, ამიტომ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სოფიოს შეხედულება ამ საგანზე ხალხის აზრსა და შეხედულებას მოასწავებს.

პოემიდან ცხადათა ჩანს, რომ პარათაშვილის თანაგრძნობა სოლომონ მსაჯულისა და სოფიოს მხარეზეა; მაგრამ სამ წელს შემდეგ (1842 წ.) დაწერილ ლექსში („საფლავი მეფის ირაკლისა") ამ აზრის წინააღმდეგობა მოისმის;—მგოსანი აღტაცებით იხსენიებს მეფის ანდერძს, მის გადაწყვეტილებას საქართველოს ბედიღბლის შესახებ—და ამ ანდერძის სიკეთესა და გონიერებას ასე ასაბუთებს:

„ეამთ ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო...
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი"-ო.

მართალია, რუსთა მფლობელობის დროს, საქართველომ სისხლის მღვრელი ომებისაგან მოისვენა, მაგრამ შინაურ ცხოვრებაში ქართველი ერი იმ დროს ბევრ ნაკლულევანებას ითმენდა: მისმა **ეროვნულმა კულტურამ** საკუთარი ელფერი დაკარგა, **ქართული ენა** სხვადასხვა სფეროში საგრძნობლათ შეფერხდა და შეირყვნა, **ტერიტორია** (მიწაწყალი), რომელიც ჩვენმა წინაპრებმა უსაშინელეს დამპყრობელთაგან დაიცვეს, ამ მშვიდობიანობის დროს ხელიდან გვეცლებოდა; რაც შეეხება **განათლებას,** უცხო პირობების გამო ქართველი ახალგაზდობა ისეთ განათლებას ვერ ღებულობდა, რომ ქართული კულტურის ნორმალური ზდისათვის ხელი შეეწყო და ამ მხრით ქართველი ერის მომავალი უზრუნველეყო.

საზოგადოთ, ურიგო მართველთა წყალობით, ქართველმა დაკარგა ხასიათის ძალა, სულის სიმტკიცე, რომელიც დამახასიათებელი იყო უძველესი დროის საქართველოს დამცველებისა. ამ აზრს აღიარებს ყველა ჩვენი წარჩინებული მოაზროვნე და მწერალი—და, მაშასადამე, ეფრო საფუძვლიანათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი ფილოსოფოსმგოსნის პირველი აზრი, რომელიც მან „ბედი ქართლისა“-ში ქართველი დედის შესახებ წარმოსთქვა და რომელიც არა მარტო **დედებს**—ქალებს, არამედ მამაკაცებსაც ახასიათებს:

„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო!
ჟურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოყოლოდათ!..“

საზოგადო დასკვნა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ლირიკოსი პოეტია, რადგან გრძნობის, სულისა და გულის მოძრაობის სამეფოს გვიხატავს; იგი **პესიმისტია**, რადგან ცხოვრება, მისი აზრით, ბოროტებითაა სავსე; **რომანტიკოსია**, რადგან რეალურ ქვეყანას გაშორებია და ბუნებაში და გრძნობისა და ოცნების სამეფოში სულდგმულობს;—„**ბედი ქართლისა**“-ში არის ნიშნები **რეალიზმისა** (მაგალ. **ალამამადხანის** შემოსევის ფაქტიური მოთხრობა, **ირაკლისა** და **სო-**

ლომონ მსაჯულის საუბარი რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ, სოლომონისა და სოფიოს შეხვედრა და საუბარი ამავე საგანზე, და სხვ.); მაგრამ აქაც უმთავრესათ რომანტიზმით არის მგოსანი გამსჭვალული—და ხან ბუნებაში სტკბება („მორბის აპრაგვი არაგვიანი“ და სხვ.) და ხან წარსულზე ოცნებობს („ჰოი დედანო, მარად ნეტარნო...“).—რეალიზმის ნიშნებათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ლექსი „ლამე ყაბახზე“, თუმცა აქაც რომანტიული ნიავი დაქროლავს.

6. ბარათაშვილი ფილოსოფოსი-პოეტია. შოთა ამბობს: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“-ო, და ბარათაშვილის პოეზიაშიც მრავალია სიბრძნის ნიმუში, მრავალია იმის საბუთი, რომ პოეტი ცხოვრებას ღრმათ უკვირდება, გარეგნობა და ზედაპირი მას არ აკმაყოფილებს, ადამიანის გულისა და საზოგადოთ ცხოვრების სიღრმეში ეშვება და იქ ეძებს მიზეზთა მიზეზებს.—ჩვეულებრივი მოაზროვნისათვის, მაგალითად, ობლობა მხოლოდ „უთვისტომობა“-ა, მშობელთა და ნათესავთა უყოლელობაა—და მეტი არაფერი; ხოლო ბარათაშვილი ობლობის მიზეზს უფრო ღრმათ ეძიებს—და ნამდვილი ობოლი, მისი აზრით, იგია, ვინაც სულით არის ობოლი. ამგვარივე ღრმა დაკვირვებით განმარტავს მგოსანი ჭეშმარიტი სიყვარულის უკვდავებას—და ამ ღვთაებრივი გრძნობის საფუძვლათ სულის სიმშვენიერე მიაჩნია, და არა გარეგანი სილამაზე (იხ. ზევით თავი VII, გვ. 46-47).

ბარათაშვილის ლექსებში საკმაოთ ბევრი **სენტენ-ციაა**, რაიც შედეგია ღრმა დაკვირვებისა, ფილოსოფიური აზროვნობისა. **ა**ი რამდენიმე მაგალითი:

1. „**მ**აინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი,
თუ არაოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს—
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?..“
(„**ფ**იქრნი **მ**ტკვრის პირას“).

2. „**ა**რც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში, და სოფლისთვის არა იზრუნოს“. (იქვე),

3. **ლ**ექსი „**ს**ული ობოლი“ მთელათ სენტენციაა.
(იხ. „**დ**ამატ.“).

4. „**რ**აც ერთხელ ცხოვლად სულს დაეჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაიცემის“ („**ბ**ედი **ქ**ართლისა“).

5. „**ს**ახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“ (იქვე)

6. „**უ**წინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე?!“—და სხვ. (იქვე).

7. „**ს**ასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს,
და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს!..
მას ვაქებ, ვინკა თვის სიცოცხლე ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა“.
(„**ჩ**ემთ მეგობართ“).

8. „**ს**აწუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს?!..“
(„**ვ**პოვე ტაძარი“).

9. „**ს**ილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების“—და სხვ.
(იხ. თავი VII, გვერ. 46).

ბარათაშვილის წერილებშიც ბევრია იმისთანა აზრი, რომელიც ამტკიცებს ახალგაზდა მგოსნის სიბრძნეს, ცხოვრების ღრმა დაკვირვებას, მისი აზროვნობის ფილოსოფიურ თვისებას. აი, მაგალითად, ცნობილ წერილში მაიკოს სხვათა შორის რასა სწერს:

„დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა:—აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად—და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან"-ო.

ეს გულწრფელი სიტყვები, გარდა ღრმა აზროვნობისა, მაჩვენებელია აგრეთვე მგოსნის სულის სისპეტაკისა, მისი კეთილშობილური გრძნობისა და სამაგალითო ადამიანობისა.

---

6. ბარათაშვილის ენა.

6. ბარათაშვილის ლექსები განსაკუთრებით **ჩახრუხაულისა** და **მუსტაზადის,** ე. ი. ოცმარცვლოვანისა და თოთხმეტმარცვლოვანი ლექსის, ზომით არის დაწერილი. ორივე ეს ზომა მართლაც შესაფერისად გამომხატველია იმ ნაღვლიანობისა, რომლითაც გამსჭვალულია ბარათაშვილის მთელი პოეზია. მას **შაირისა** დ **თეჯლისის** ზომითაც უწერია, ე. ი. თექვსმეტმარცვლოვანითა და თერთმეტმარცვლოვანით, მაგრამ ამისთანა ლექსი ძლიერ ცოტა აქვს.

ბარათაშვილის ლექსები გარეგანი ფორმით არ არი ისე სუბუქი და არც ისე მუსიკალური, როგორც, მაგალითად, უკანასკნელი დროის მგოსნებისა, და თუ ძველ დროის ნაწერებს შევადარებთ, არ არის ისე კეთილხმოვანი, როგორც „ვეფხისტყაოსანი"; ძველებური მწიგნობრული მძიმე ფორმები და არამუსიკალური რითმები დამახასიათებელია ამ ლექსებისა; მაგალითად:

„მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით".

არც პოეტური შედარებებით არის ბარათაშვილის პოეზია მაინცადამაინც მდიდარი. ამ მხრით საუკეთესო ნიმუშებათ უნდა ჩაითვალოს:

ა. „ძირს გაშლილს, ლამაზს ველსა ყვავილნი
მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,
და, ვით გუნდრუკსა სამადლობელსა.
შენდა აღკმევენ სუნნელებასა"-ო,—

ეუბნება მგოსანი მთაწმიდას („შემოლამება მთაწმიდაზედ").

ბ. „შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი;
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი—
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი".

(„ბედი ქართლისა").

გ. „ზამთრით ბუნება არა კვდება,—სევდით იმოსვის,
რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორების...
მაგრამ ვითარის შვენებითა კვლავ შეიფურცვლის,
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის"!..

ლამაზია ბარათაშვილის პოეტური აღწერა ბუნებისა (მაგალ.: „მორბის არაგვი არაგვიანი“), მაგრამ ამ მხრით გრ. ორბელიანის პოეზია უფრო მდიდარია,

ამ სახით ნ. ბარათაშვილის ლექსები მკითხველს იმ-დენათ **გარეგანის** პოეტური სილამაზითა და სინაზით კი არ იზიდავს, რამდენათაც **შინაგანი** გრძნობიერობით, **გრძნობის შინაგანი სინაზით** და ხან **მედგარი ბრძოლის კილოთი**—იმის მიხედვით, თუ შინაარსი გრძნობის ნაზ გამომეტყველებას მოითხოვს, თუ მრისხანეს, მედგარს. ნაზი გრძნობის გამომეტყველია, მაგალითად, მეფის ირაკლის ცნობილი ლოცვა, „მწყემსო კეთილო“ (იხ. „ბედი ქართ-ლისა“), „ვპოვე ტაძარი“, „მიყვარს, მიყვარს მე ტიკტი-კი ჩვილის ყრმის“ (ლექსი „ჩჩვილი“) და სხვ.;—მრისხანე, მედგარი კილო მოისმის, მაგალ., „მერან“-ში:

ა. „გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი!
გაჰსწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალ-
ნი დღენი!..“

ბ. „დაე მოჰვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მის ბასრმა ბასრმა მოსისხლე მტერი!..“ და სხვ.

აგრეთვე „სულო ბოროტო“-ში:

ა. „ყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა ადთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემთ გულისთქმათა!..“

ბ. „განვედი ჩემგან, ჰოი მაცთურო, სულო ბოროტო!..“

დ ა მ ა ტ ე ბ ა.

ქვეშოთ იბეჭდება 6 ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“, რომელნიც ჩვენი პოეტის ნაწარმოებთა შორის საუკეთესოთ არიან მიჩნეული და ავტორის გასაცნობათაც საჭირო მასალას წარმოადგენენ.—ტექსტი ავტორის მართლწერით იბეჭდება: მგოსანს რამდენიმე ავტოგრაფი დაუტოვებია თავისი ნაწერებისა—და ჩვენი ტექსტის მართლწერა შერეულია, სხვადასხვა ავტოგრაფზე დამყარებული - (უმთავრესათ მეხუთე გამოცემის—თფილისი, 1895 წ.—მართლწერაა დაცული).

ზემოლამება მთაწმიდაზედ.

ჯი მთაწმიდავ, მთაო წმინდავ,—ადგილნი შენნი,
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ ჰშვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს დაჰშთენ ამოს ციაგნი ნელნი!

ვითარი მაშინ იდუმილობა დაისადგურებს შენს არემარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს, ლამაზს, ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,
და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ღე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა
მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდება საწუთროება!
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ ჰსცნობენ ვლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდეგ სერზედა, და, ცათა მიმართ მზირალს
ტრფობითა,
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, ალმსები ნაპრალთ ვდუმარებითა;
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი ღელეთა შორის ალმოკვნე-
სოდენ
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვნოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება,
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

ჰსდუმდა ყოველი მუნ არემარე; ბინდი გადეკრა ცისა
კამარას.
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა
ამარას.
გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოვარე, დისკო გადახრით შუქ-
მიბინდული!

ამგვარი იყო მთაწმიდაზედ შემოღამება!
ჯი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც ალმოვიტყოდი!
მხოლოდ გული ჰვრძნობს, თუ ვითარი ჰსძღვენით მას შვება!

ჯი სალამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუ-
გეშებლად!
როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებ-
ლად!
მწუხრი გულისა—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათ-
ლებს!

1836.

ფიქრნი მტკვრის პირას.

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად;
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით;
აქა ყოველი არემარე იყო მოწყენით:
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა,
და მის ზვირთებში ჰკრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.

იდაყვ-დაყრდნობილ ყურს უგდებ მე მისსა ჩხრიალსა,
და თვალნი ჰრბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვს რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება...

მაინც რა არის ჩვენი ყოფა—წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
ჰშფოთვენ და დრტვინვენ, და იტყვიან: „როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს“, და აღიძვრიან
იმავ მიწისთვს, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...

თუნდ კეთილ მეფე, როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე—ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამამავლობას!...
მაგრამ თუ ერთხელ სოფელს უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვილამ ჰსთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?...

. . . . . .

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან—შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას ზშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვს არა იზრუნვოს!

1837.

ჩ ო ნ გ უ რ ს.

შენნი მოთქმანი, კაეშნის კმანი,
ხანცა ოხვრანი, ხანც ამოსკვნანი,
წარსულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ!

ჯი ჩონგურო, ნეტავი ოდეს
კმა ეხიაოული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმყოდეს მე სევდიანსა გულისა სენი!

მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი,
სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი!
1837.

სული ოგოლი.

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ ჰსჩივის თავისს უთვისტომობას,—
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელლა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არლარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან, იკრძალვის, არლა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება კელმეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა ჰსწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

1839 წ.

---

*
* *

ვჰპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!

მუნ, გუნდრუკის წილ, შევჰსწირავდი წმიდას სიყვარულს,
რომლის საკურთხად დავჰსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;
ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს,
მეგონა ვჰხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!

მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდ-ხანს ახარებს?
განჰქრა ტაძარი—და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს;
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!

მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი?
არა, მოსძაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!
დამშთა მე მხოლოდ ბის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

1841.

სუმბული და მწირი.

მწირი.

სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო,
რომ შენსა მჭვრეტელს არ გააჩნდა დიღა, საღამო?
მარქვი, სადა არს სუნი შენი, ამო და ნელი,
რომლით ათრობდა სიცოცხლის ჟამთ ლამაზი ველი?

სუმბული.

მწირო, ხომ ჰხედავ, მოვჰკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,
ჩემთ ჰსწორთა ყვავილთ, ბშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს:
აგერ მაისი ააყვავებს ტურფად ბუნებას,
მოვა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას;
ხოლო მე, ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,
ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს ბგოსანსა!

მწირი.

ნუ თუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,
სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს,
სადაცა კაცი შენს შვენებას ესრეთ ინახავს,
რომ მზე ვერ გიჭკნობს და სიცივე ვერა დაგაზრავს?

სუმბული.

მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი?
ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი?
აღარ მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამი;
აღარ მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უალერსებს
და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა აღარ მიჩრდილებს...

მწირი.

სუმბულო ტურფავ, ბოიგონე მკაცრი ზამთარი.
მისგან შენ ახლა იქნებოდი უწყალოდ მკვდარი;
ნახე, რა ძალუძს შენთვს მზრუნველს კაცისა კელსა,
რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა.

სუმბული.

ღე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ჟამი და ბოლო,
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უჟამოდ მეღების ბოლო!
ზამთრით ბუნება არა ჰკვდება,—სევდით იმოსვის,
რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორების!
და მყის ვითარის შვენებითა კვლავ შეიფურცვლის,
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!
ახ, როდის ვნახო მეცა ველად ჩემი ბულბული,
რომ განვიშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული!

მწირი.

მშვიდობით, წავალ, მეც მოვძებნი ჩემსა ყვავილსა;
ისიც შენსავით განაშორეს სამშობლო ველსა!
ვაჲ თუ მასაც უდროდ აჭკნობს უწყალო კელი,
და არლა მომხვდეს სუნი მისი, ჭირთ-უკუმყრელი!

1842.

---

*
* *

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი ბ[illegible]ენი,
გაჰსწი, გაკურცხლე ბ შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე ჰსწორთა და მეგობარსა!
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ-მოუბარსა!
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო; გულისა მე საიდუმლო!

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლაკებს შორის;
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის!—
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ხარით, ღრიალით მიწას მამაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა, ოხერსა, დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სვავნი მყივარნი!

გაჰსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვა-
რი:—
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

დაე მოვჰკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის
კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

მაისის 9-სა, 1842.

---

* * *

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ ალმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვს მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!

მარქვი, რა იქმნენ საკურველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სულო აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები:
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემთ გულის თქმათა!
მას აქეთ არის დავუკარგე მშვიდობა სულსა,
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჭი მაცთურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაჲ მას, ვისცა მოჰხვდეს კელი შენი მსახვრალი!

1843.

ბედი ქართლისა.

თქმული

წელსა 1839-სა, ტფილისს.

კახთა მიმართ.

ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,
თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად;
თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით,
როს თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც გამგმირად!

და რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის ყამმან მეფობის
შოუვლინა აწ გამოხატვასა ჩემს ყმაწვილობის,—
მეც, ძმანო კახნო, თქვენ შემოგიძღვნით მას არმაღანად,
ერთსულობისა, ვაჟკაცობისა, ლხინის საგანად.

როს თქვენებურად მამულის ღვინით გულს ახარებდეთ,
ხელთ ჯამის მპყრობნი წარსულსა დროებს მოიხსენებდეთ
და მორიგისად სმიდეთ წინაპართ შესანდობარსა,
მოიგონებდეთ ყარიბს მგოსანსაც, თქვენდა მბობარსა!

კარი პირველი.

„მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
შემოვა

მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
ვვესწრაფე, ჩვენო კელთ-ალმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო!* —

ასე ილოცდა მეფე ირაკლი
ბანაკსა თვისსა გულით მხურვალი.
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
მამულისათვის მეფისა ცრემლი!

ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთა საომრად;
პატარა კახი ალამაჰმად-ხანს
უპირებს შებმას ძლიერს, რისხვიანს.

ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი. —
ცა მოწმენდილი, ცა მშვენიერი
ზედანათლიდა ბრძოლისა ველსა,
და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
განამხნევებდა მამობრივის ხმით:
— «ბედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!
საქართველოს დღეს გარდაუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!
დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი;
დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!»

— «შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი!»
შებღავლა მეფეს ჯარმა ერთის კმით.
«ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით,
ოღონდ შენ იყავ, მეფევ, დღეგრძელი!
მტერი—რა მტერი, ოდეს ქართველი
ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰხედავს,—
მისთჳს სიცოცხლეს ვინღა დაზოგავს?!»

ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
ოდეს მოყმენი, ვით მამას შვილნი,
განუცხადებენ თავისს სიყვარულს!..

დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზარა
და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.
ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა
ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა!
მხდალო, განგამხნევს, მხნევ, განგაღვიძებს
და შენც, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს!

შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი;
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი—
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი;
სომხეთის გმირნი, ყაფლანის შვილნი,
და მათ მომარცხნედ ბარათაშვილნი,
განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა;

მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას,—
მაინც ვერ ჰხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
რა ნახეს ქართველთ—გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხრმალს კელი იკრეს მამაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად!

ბინდმა გაჰყარა მებრძოლნი მტერნი.
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი;
მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არღა ახარებს:
ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!
მრავალთ ყმაწვილ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდვეს აქ თავი მამულისათჳს!..
აწ საფლავიცა არსად ჰსჩანს მათთჳს;
ჰაერში განჰქრა მათი სახელი,
და ჟამთ მოწამე სადამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!..
მაგრამ, ჯი გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთკელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილი-შვილოდ გარდაიცემის;
ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
აღა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!

მეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ:
«გვიჯობს, რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ

და ციხე ჩვენი მჰსწრაფლ გავამაგროთ,
თვარემ ხვალ სიმხნით ვერა გავაწყოთ.
ალა-მაჰმად-ხან რა აქა გვნახავს;
ხომ იცით, ჯარი დიდძალი ახლავს,
და იქნება, რომ ციხეში დავხვდეთ,
ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ.
ძველადგან ასე ნაამბობია,
რომ «ზოგჯერ ხერხი ლონეს ჰსჯობია!»

ყველა ეთანხმა ამაში მეფეს;
ქალაქს მოიქცნენ იმავე ღამეს,
და მჰსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა
ექმნათ საჭურედ ჯართა ქართლისა!

გათენდა დილა მზისა აღმოსვლად:
მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად,
ბნელი პოჰფინა ტფილისის არეს:
ალა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს!
სამი დღე და ღამ ადგა მას ჯარით,
მაგრამ ვერა რა ავნო ვერსაით.
დალონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი,
და თურმე ყოველით იმედმიხდილი
ქართლითგან წარსვლას დააპირებდა...
მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!
აჰა, მან ივი აწ მოჰკელთა
და მუხთალისა ანგართა კელთა
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!
მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!
ჰსცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,

მოყმეთა თვისთა ესდენ დამცრობა,
მყისვე აღენთო კელმწიფე გული,
მტერზედ ამაყად გამზადებული!
მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
აღა-მაჰმად-ხან, კვლავ თავმომწონე,
შემოეპარა ციხისა კართა
და მოევლინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა.
გაფოთებული ეძიებდა მას,
ვინცა თერანის ტახტ-კელმწიფებას
ქართველთა შორის წაართვა ძალა;
მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი დღენი!

კარი მეოთხე.

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოჰსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.
ჭი ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულ-მან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა ვზასაც ეშურებოდეს!
როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,

გამოიღვიძებს--შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შეჰსძახებს,
არაგვო, მაგ შენს გამწვანებულს მთებს,
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვს აღარ დაღონდეს!

მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს,
და ამ მშვენიერს არაგვის პირებს
ძველი ჩარდახი ზედ გარდმოჰყურებს.
მუნ ბძანდებოდა მეფე ირაკლი,
მოწყენის თვალით გარდმომზირალი;
დაფიქრებული თვისთა ზრახვათა
გაცაართობდა ქარვის მარცვალთა.
თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული.
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,
მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!
სადღა არიან აწ ესე კაცნი,
რომ არ გვალხენენ, სულით მამაცნი!

დიდხანს უჭვრეტდა მეფე მდუმარედ
არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ;
ბოლოს მახვრალმან უბძანა მსაჯულს:
«შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
მისი აწ ძალა, ყოფა, ცხოვრება;
ბევრ-ჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,
მსალბუნებიან მე შეწუხებულს;

აწც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის წადილს,
შენ გაგიმჟღავნებ, ვით საყვარელს შვილს!

«არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ ვიყავ მათი მეფე ეული;
ჩემი მეფობა ზედ დავასრულე,
რომ ძლივს იგინი გავიერთგულე!
და ახლა, ოდეს ჩემს კელმწიფობას
განუმზადებდი ჟამ-კეთილობას,
აი მის ნაცვლად რაჲ მომაპყრეს
მე ჩემთა ძეთა --და ვინ ახარეს!...

«ამიერითგან გაქეზებული,
მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყნარებს ამაყობითა:
მას ჟამი შეჰსწევს ყოვლის ღონითა;
ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს;
ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ!
მეც თუმცა კვლავ ვჰგრძნობ სულის სიმტკიცეს,
გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახივარ!
აბა, რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?...
ჯი ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
ნუღა განჰსწირავ ქართველთა ტანჯვად!...

«აბა რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო:
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
კელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი;
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი — სარწმუნოება, —
მას მსურს, რომ მივცე მემკვიდრეობა,
და მან მოსცეს ქართლს კეთილ-დღეობა!»

ამის გამგონი ჩვენი მსაჯული
უჭვრეტდა მეფეს, განცვიფრებული:
მას არ ჰსჯეროდა, რომ ირაკლის გულს
ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს.
«რასა მიბრძანებ!—ჰკადრა მან მეფეს, —
ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქაროველთა,
ესდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება!

«იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ კელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა ჰსჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს;
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი—
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,

,რაც მოისურვოს ქართველობამ!..
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცი მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იდუმალთ!
მაშინ ირაკლის სახსენებელი
ვინლა ახსენოს, აწ საქებელი?
ნუ, კელმწიფეო, მას ნუ ინებებ,
შენგან კი მაგას ნუ გაგვავონებ,
და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს,
მაშინ მან უწყის, რაც წოაგვაროს;
ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,
უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!»—

— «ჩემო სოლომონ, —მეფემ უბრძანა,—
მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვს ქართლის
რა მოვაგვაროთ უმჯობეს ამის?
მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვისს დიდებისთვს სისხლთა აღმჩქეფე,—
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა ჰსურს, რომ თავისი შვილი
თვისს სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
ძნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უჰვრეტდეს იგი ომსა, დღე-დღითი!
აი ხომ ნახე აწ მაგალითი,
რა ჰქმნა ამ ერთმა დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ აღა-მაჰმად-ხან
ქალაქს დაჰსჯერდა განძვინებული,
სხვით-არ აღივსო მან საწყაული!

«ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტეანთ ხმა მარად ისმოდეს
საფლავთზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!»...

ველარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰკადრა მეფეს, აღშფოთებულმან:
«განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება».

— «სულ მართალია, ჩემო სოლომონ,
მაგრამ აბა ჰსთქვი, ქართველთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა ირაკლიმ რა მოაგვაროს
მშვიდობისათვს საყვარელთ ყმათა?...
აი მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას;
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ ღღეს იქმნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ კელმწიფება!»

ასე ირაკლი და მის მსაჯული,
მამულისათვს გულ-მტკივნეული,

ქართლისა ბედსა განსამართლებდენ,
ხოლო ქართველნი ძამულს ჰგლოვობდენ!

ამ დროს აღმოჰხდა ბადრი მთოვარე
და სიამითა მოჰფინა არე.
ცამ, მოჭედილმა ვარსკვლავებითა,
მთისა ჰაერმა, სავსემ შვებითა,
და მთვარის შუქზე არაგვის წყალთა,
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა,
გულს აუშალეს დარდები ბატონს,
ოხვრა დამართეს, ვით კაცსა ლიტონს:
მას მოაგონდა დრო ყმაწვილობის,
განტარებული ოვისთა კახთ შორის,
როს ჯერ არ ელო ტვირთი მეფობის,
როს ჰქონდა ჟამი უზრუნველობის,
და, საყვარელი კახეთის გმირი,
იყო ნიადაგ მტერთა ვამგმირი!

დიდხანს დაჰყოფდა ბატონი ჩუმად,
დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად.
შემდეგ უბრძანა სოლომონ მსაჯულს:
„ახლა კი დროა ჩვენს გაოხრებულს
ქალაქს ჩავხედოთ: ბაგრამ ჯერ ერთი —
მინდა ვიხილო კიდევ კახეთი,
შევიტყო კახთა საჭიროება,
ვჰსცნა ჰაზრთა მათთა აწ ვითარება;
შენ კი აქედგან ქალაქში ჩადი
და დამახვედრე ჩემი სამხადი“.

დილაზე ადრე მოვალს მსაჯული
ქსნის ხეობაში, დაფიქრებული:
ვიდრემდის იყო შიშიანობა,
მას აქ ესახლა თავის სახლობა,
და, მომავალმა აწ ქალაქისკენ,
გამოიარა თავის სახლისკენ.

მეფის ჰაზრთაგან სულით ღელვილი,
ჰზრახვიდა გულში მამულის შვილი:
„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ისე განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება—
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულის კვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის!...

„იქნება მეფე ციხის გატეხას
აბრალებს მოყმეთ მუხანათობას?
იქნება ამან აჰყარა გული
ბატონს ქართლზედა, შეუორგული?...
მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,

თუ ვით საყვარელ არს ქართველთ შორის.
მაშ რამ შეშფოთნა მაშ გული მყარი,
ქართველებისთვს ესთ თანამკვდარი?...
მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება
უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვეჭირება:
ბევრ-ჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიხვდების!"

ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს
მოადგა თავის სახლისა არეს.
წინ მოეგება მას თავის ცოლი,
სათნო სოფიო, სულისა ტოლი;
ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
მშვენიერება, გულ-კეთილობა.
რა დაინახა მან თავის ქმარი,
სახე შეცვლილი, მონაწყინარი,
ამბავი ჰკითხა მყის ირაკლისა,—
ასე საყვარელ იყო ყოვლისა!

— „ვეჭობ, სოფიო, რომე ირაკლი
ქართველებზედა იყოს გულნაკლი;
მას ზედ ეტყობა, რომ მისი სული
ძლიერად არის აღელვებული!
მწარედ უპირებს ბატონი დასჯას
თავის შვილების აგა ურჩებას:
ვეჭობ, რომ იგი სამეფოს ქართლის
აძლევს საფარს ქვეშ რუსთა კელმწიფის.
მაშინ უყურე ჩვენს დედაკაცებს,
რომს საცხოვრებლად დიდკაცთა ცოლებს

პეტრეს ქალაქში გარდიაისახლევენ!
მაშინ, სოფიო, რაღა ვიხდათ ოქვენ?
კელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად
და დედოფალსა დედისა ნაცვლად:
არ მოგაკლდებათ თავისუფლება,
განცხრომილება, ფუფვნეულება--
მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!
ვერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის
მრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად
ბანოვანთათვს გულგასართობლად:
მაშინ ვისაღა მოესურვება,
ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება?!"

— „უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა კელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვეებული!
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
ჰირსაც, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?
თავის მამულში მას გაჭირება
სხვა და სხვა რიგად ენუგეშება:
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის ასუხი ესმის!

„რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,
ოდეს მეფეცა და დედოფალი

ვვყვანან ყელილნი და ლირსეულნი,
და ვართ მათთანა შვილებრ ჩვეულნი:
ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად,
მწუხარებათა სანუგეშებლად,
რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში!
. . . . . *)

მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალებულს,
და აწ, რა ნახა ცოლი ამ ჰაზრით,
გარდაეხვია მას მხურვალებით.—

ჯი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინლა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს!..
რის ქართველობა, რა ქართველობა!?
მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?!..

რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
დიდხანს უჭვრეტდა ცრემლთა აღმჩქეფე!
პალატნი მისნი გარდმონგრეულან,

*) ნამდვილშიაც აქ წერტილებია.

სახლნი სამშობლო დანაკრებულან;
მიდამო ჰხედავს უპატრონობას,
აღოხრებასა და ნატამლობას!
დუმილი ჰსუფევს მის არემარე!
მხოლოდ ბუტბუტებს ბატკვარი მწუხარე,
შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა:
იგი გადარჩა მხოლოდ სპარსელთა!

აღივსო კვალად ერით ტფილისი,
რა მობძანება ჰსცნეს ირაკლისი.
ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა,
თუმცა ადრინდელს მრავალი აკლდა!

წარვიდენ წელნი მოსვენებისა
და კვლავ ირაკლიმ ხრმალი ბრძოლისა
აღილო ლეკთა შესამუსვრელად!
არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად.
სიბერის ჟამსა მოიცა ძალი
და შეაძრწუნა კვალად ოსმალი;
კვლავ ასახელა თავის სახელი;
ბაგრამ ამბო იყო ყოველი:
დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიდა გულმან ირაკლის!

1839 წ.

ლექსების ზოგიერთი სიტყვისა და ადგილის ახსნა-განმარტება.

1. შემოლამება მთაწმიდაზედ.

მთაწმიდა ეწოდება იმ მთას, საცა წმ. **ლ**ავითის მონასტერია **თ**ფილისში;—ასე უწოდებს ხალხი აგრეთვე **ქ**ვიშხეთის მწვერვალსაც, სადაც პაწია სამლოცველოა აშენებული;—**მთაწმიდა** ეწოდება აგრეთვე **ა**თონსაც (**ა**თონის მთას, **ხ**ალკიდონის ნახევარ-კუნძულზე), სადაც X საუკუნიდან **ი**ვერიის მონასტერი არსებობს. **ვ**ერანი—გავერანებული: აოხრებული, უშენი, უმკვიდრო, უდაბური. **მ**ონამენ—მონამვენ. **დ**აშთენა: დატოვება (**დ**აშთომა—დარჩენა). **ც**იაგი (ციალი): მნათობთა ელვარება, სხივის გამოკრთომა (**ოდეს სალამოს** და სხვ.: როცა საამო სალამო ნელი ციაგით ელვარებს). **ი**დუმალობა (მგოსანი სწერს **იდუმილობა**): დუმილი, მყუდროება, სიჩუმე. **წ**არუტყვევს: წარუტყვევებს, მოსტაცებს. **ტ**აბლა: სუფრა. **ბ**უნდრუკი: მეტათ სურნელოვანი საკმეველი. **ბ**ილიკი: ვიწრო გზა. **ლ**აჟვარდი: ლურჯი, ცისფერი, ბრწყინვალე. **ზ**ენაარი (ზენაარსი): ციური, ღვთაებრივი; ცის ძალნი. **მ**ოკვდავი: მომაკვდავი. **მ**წუხრი: ბინდი, სალამო. **ა**ლმსები: ალმვსები. **ნ**აპრალი: კლდეღრე, ხრამი. **შ**ემოგარენი (შემოგარე): აოემარე, მიდამო. **მ**ყისვე (მყის): წამსვე, მსწრაფულ(ათ). **შ**ვება: თავისუფლება, სიამე. **ბ**ინდი: სიბნელე, ჩრდილი. **ქ**ამარა: თალი, სივრცე. **მ**ოვარე: მოარული, მავალი. **დ**ისკო: წრე, სიმრგვლე, აოემარე (მნათობთა).

2. ფიქრნი მტკვრის პირას.

საწყაული: საწყავი ჭურჭელი, საწყაო.

შენიშვნა. „**მ**აგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოელოს“: ასეა ავტოგრაფებში, მაგრამ ეს ლექსი 14 მარცვლიანი ზომითაა დაწერილი—და ჩვენს ტექსტში „სოფელსაც“-ის მაგიერ ვბეჭდავთ **სოფელსც**, როგორც მესამე გამოცემაშია დაბეჭდილი (**თ**ბილისი, 1886 წ.), რადგანაც ლექსთაწყობა ასე მოითხოვს.

3. ჩონგურს.

ქაეშანი: ძლიერი ჯავრი, სევდა, ნაღველი. **ოდენ**: მხოლოდ.

ბედი ქართლისა.

ქრწანისი: ქრწანისის ველი ან მინდორი—ისტორიული ადგილი, სადაც ქართველებს ხშირათ უბრძოლიათ ბრძოლა სპარსელებთან (მაგ. **ალ**ამამადხანთან 1799 წ. და სხვ.). **საჭურე**: საფარი, სიმაგრე. **ბორგვნილი** (ბორგვნა, ბორგვა): გაბოროტებული, მრისხანე. **ბეე** (ბრეე): კარი, ჭიშკარი. **არაგვიანი** (არა+გვიანი): საკბილოთ ჩქარი, საკმაოთ სწრაფი. **ატეხილი ჭალები**: მდინარის ნაპირათ მოზდილი ხშირი ჩიგვნარი, ჯაგნარი. **ჩარდახი**: აივანი, მალალზე გადმომდგარი გადმოსახედავი ოთახი (ბელვედერი). **მორჭმული** (მორჭმა—მოხვევა, შეძენა): გაბედიდრებული, აღსავსე. **მსალბუნებიან** (სალბუნი—მალამო): სალბუნათ, განმკურნებელ წამლათ მომვლენიან. **ეული**: ბოგანო, მარტოხლათ დარჩენილი; უმწეო; უუფლო. **ბძარვენ** (ბძარვა, ბზარვა—გლეჯა, წეწვა): გლეჯენ, წეწვენ. **შვისთ** (მივის, გივის, უვის და სხვ.): ყავთ. **ესთ**: ესდენ, ესოდენ, ამდენათ, ასე. **ლიტონი**: მარტივი, უბრალო, მდაბიო. „ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას": ლიცენცია-პოეტიკაა (კავშირი **მაგრამ** თავის ადგილას არა ზის).

გაასწორეთ შეცთომაები.

დაბეჭდილია: 1) ჩვენამდი მოსულნი (გვ. 14), 2) იმავა ხასიათისა (28), 3) ვგონიად (33), 4) მაძიებელი (38), 5) ამ ლოფლად (38), 6) შედგომად (40), 7) სიყვარული (47), 8) იმყოფება (49), 9) ეხიარული.

უნდა იყოს: 1) ჩვენამდი მოსულნი, 2) იმავე ხასიათისა, 3) გგონიათ, 4) მეძიებელი, 5) აწყოფლად, 6) შედგომად, 7) სიყვარული, 8) იმყოფება, 9) მხიარული.